



ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 12.2024

შპ ბავდინა

ჩავ • ანთ მიმონილვა 12.2024

არქივი და თანამედროვე ხელოვნება

შინაარსი content

REACH ART VISUAL PRESENTS
ინტერვიუ 4

ნინა ახვლედიანი 4

REACH ART VISUAL PRESENTS
INTERVIEW 8

NINA AKHVLEDIANI 8

REACH ART VISUAL PRESENTS
ისტორიული დისკურსი 11

მარია მიქაძე 11

არქივი, როგორც კვლევის სასიცოცხლო რესურსი და უახლესი ისტორიული მემკვიდრეობა

REACH ART VISUAL PRESENTS
HISTORICAL DISCOURSE 13

MARIAM MIKADZE 13

Archive, as a vital resource for research and the latest historical memory - REACH ART VISUAL

REACH ART VISUAL PRESENTS
ხელოვნების ფოკუსი 16

ნიკო ქანდაკა 16

ლურჯი დღიური

მუზეუმის მუზეუმი 22

სოფო ტაბატაძე 29

პროექტი პირიმზე

ღია ბაგრატიონი 34

BIBLIOTHEQUE

REACH ART VISUAL PRESENTS
ARTIST IN FOCUS 19

NINO DZANDZAVA 19

Blue Notebook

GURAM TSIBAKHASHVILI 26

SOPHIA TABATADZE 29

Project PIRIMZE

LIA BAGRATIONI 36

BIBLIOTHEQUE

REACH ART VISUAL PRESENTS
ხელოვნების ფოკუსი 38

მარია შერგელაშვილი 39

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი
 საარქივო მასალა და თანამედროვე
 ინტერპრეტაციები

REACH ART VISUAL PRESENTS
BLOG BY ART HISTORIAN 44

MARIAM SHERGELASHVILI 44

Archival Material & Contemporary Interpretations
 The State Silk Museum

REACH ART VISUAL PRESENTS
კოლექციონერი მკვლევარი 48

კონსტანტინე ბოლქვაძე 49

REACH ART VISUAL PRESENTS
COLLECTOR RESEARCHER 49

KONSTANTINE BOLKVADZE 49

REACH ART VISUAL PRESENTS
პროექტი ფოკუსი 50

პროპაგანდა 51

გაზეთი სამხრეთ-დასავლეთის

დანართი - მემორიალი 57

საზოგადოებრივი არქივი 58

REACH ART VISUAL PRESENTS
PROJECT IN FOCUS 50

PROPAGANDA 51

NEWSPAPER 365 55

DANARTI - MEMORY 57

THE PUBLIC ARCHIVE 58

საუბარი კურატორ ნინა ახვლედიანთან

ინტერვიუ

თავდაპირველად არქივებზე მუშაობით როდის დაინტერესდით? სანამ დააფუძნებდით დინების პლატფორმას რა პროცესმა გიბიძგათ ამ იდეის განხორციელებისკენ?

როდესაც საქართველოში დავბრუნდი რამდენიმე წელი დამჭირდა რომ საკურატორო პროექტებზე დამეწყო მუშაობა. ამ დროიდან მალევე წავაწყდი მნიშვნელოვან პრობლემას. თუ კურატორს სურვილი ჰქონდა საჯარო კოლექციები და არქივები გამოეფინა, ამ მასალებზე წვდომა მარტივი არ იყო. ხშირ შემთხვევაში მუზეუმებისგან მზაობაც არ იყო. ამ კონტექსტმა დამინტერესა. მოვისმინე არაერთი მოსაზრება უფროსი თაობის მკვლევარებისგან, რომლებიც ხშირად ბუნდოვნად მეუბნებოდნენ რომ ესა თუ ის მასალა ემსხვერპლა ხანძარს ან სამოქალაქო ომის შემდეგ დავარგულად მიიჩნევა. ჩემთვის ძალიან ბუნდოვანი ხდებოდა სხვადასხვა თემებზე მასალა როგორ მომეძია. 2019 წელს გავიცანი მარიამ კაკაბაძე, რომელიც ის იშვიათი შემთხვევაა ხელოვნებათმცოდნისა და კურატორისა, რომლის ოჯახშიც დაცულია დავით კაკაბაძის უმნიშვნელოვანესი კოლექცია და არქივი. ეს მასალა ოჯახს თავად ჰქონდა გაციფრულებული და დავაკვირდი ამ ხელმისაწვდომობამ რამდენად გაამარტივა ჩემთვის, როგორც კურატორისთვის, მომდევნო კვლევის პროცესი. არაერთი პროექტი, კატალოგი, გამოფენა განვახორციელე კაკაბაძის ფონდთან თანამშრომლობით, შეიქმნა ციფრული არქივი. ჩემთვის პირადად გაციფრულებულ ვიზუალურ მასალასთან მუშაობა ბევრად საინტერესო აღმოჩნდა, რადგან მთლიან სურათს ვხედავდი და არა ფრაგმენტულ მონაკვეთს. ეს კონსტალაციები იყო პირველი ბიძგი და შემდეგ გადავწყვიტე ამ მიმართულებით პლატფორმა დამეფუძნებინა. ეს პლატფორმა უზრუნველყოფს ვიზუალურ და ტექსტუალურ მასალის დამუშავებასა და კატალოგიზაციას, რომლის საფუძველზეც შემდგომ ვქმნით სხვა მნიშვნელოვან ინიციატივებს.

მნიშვნელოვანი პროექტი და თანამშრომლობა, რომელმაც თქვენი საკურატორო ხედვა და არქივებზე მუშაობა განავითარა.

მეორე მნიშვნელოვანი პროექტი იყო თანამშრომლობა გერმანელ ხელოვანთან, ოლაფ ნიკოლაისთან, რომელიც აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმით დაინტერესდა. ოლაფ ნიკოლაის სახელოვნებო პრაქტიკაში წიგნს და სახელოვნებო გამოცემას უდიდესი ადგილი უკავია, მას თავისი შემოქმე-



დავით კაკაბაძე, თბილისის ხელოვნების ბაზრობა, 2019

დების მანძილზე 100-ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული. როდესაც ოლაფ ნიკოლაისგან შემოთავაზება მივიღე ჩემი ინტერესიც ბუნებრივად წარიმართა და აბრეშუმის მუზეუმის საარქივო მასალის კვლევაზე ვკონცენტრირდით. ამ კვლევის პარალელურად ვიგებდით რომ დღევანდელობაში განსაკუთრებით აქტუალური მიდგომაა, როდესაც ხელოვანებს იწვევენ არქივების საკვლევადა, რათა მოხდეს მემკვიდრეობის გადააზრება, არქივების თანამედროვე ხელოვნებაში გარკვეული ფორმით გამოყენება. ასეთ პროექტებს წამყვანი ინსტიტუციები და მუზეუმები წარმართავენ. მაშინ როდესაც აბრეშუმის მუზეუმთან დავინწყეთ თანამშრომლობა მიგვიწვიეს მსოფლიო კულტურის სახლში HKW ბერლინში. იქ კურატორები, ხელოვანები, სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლები თავიანთი ხედვით წარადგენდნენ საარქივო თემებზე მუშაობის გამოცდილებას. ამ პროექტის შედეგი იყო 2021 წელს სიმპოზიუმი და გამოფენა. მუზეუმთან თანამშრომლობით შეიქმნა ასევე პუბლიკაცია სერი(ა), ხელოვანის წიგნი, რომლის დიზაინიც გერმანელ გრაფიკულ დიზაინერთან, ჰელმუტ ვოლტერთან ერთად შემუშავდა. მთავარი იდეა იყო მუზეუმისთვის ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელსაც მუზეუმი სამომავლოდ, თავისი კოლექციების აქტივაციისთვის გამოიყენებდა, განსაკუთრებით იმ დროისათვის მიმდინარე რეაბილიტაციის განმავლობაში. ვფიქრობ, ეს ნამდვილად წარმატებული ინიციატივა აღმოჩნდა, მეც ბევრი რამ შემიძინა ამ პროექტზე მუშაობამ, არამხოლოდ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არამედ გამოფენის დიზაინის მიმართულებითაც. მაგალითად სერი(ა), როგორც წიგნი გამოფენის მთავარი არტექსტია იყო. მისი შიგთავსი, ისტორიული მასალა და არქივი საგამოფენო სივრცეში რეზონირებდა. გამოფენის დიზაინი და ვიტრინები რომლებზეც აბრეშუმის მუზეუმის არქივები იყო წარმოდგენილი, სხვადასხვა სექციებად იყო დაყოფილი და ადგილობრვად გადალაგების საშუალებას იძლეოდა. ზოგადად, გამოფენის მიმდინარეობისას, ექსპონატების ახლებურად გადაწყობის შედეგად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა, რამდენად მკაცრად შეიძლება იყოს განსაზღვრული ამა თუ იმ გამოფენის შინაარსი.

საგულისხმო პროექტი, რომელიც ასევე საგამოფენო ფორმატით წარადგენდა საარქივო მასალას, ვერა ფაღავას გამოფენა იყო. ამ ინიციატივის შესახებ რომ გვიაპბოთ.

ვერა ფაღავას გამოფენის შემთხვევაში, რომელიც თბილისი კონცეპტში 2023 წელს გაიმართა, გამოფენის ნარატივი აგებულ იქნა სპეციალურად ამ პროექტისათვის გამოცემული წიგნის გარშემო. ეს წიგნი არ იყო მონოგრაფია ან კატალოგი, ეს წიგნი საგამოფენო სივრცეებთან დიალოგით იქნა წარდგენილი. პირველ სივრცეში გხვდებოდა ხელოვანის არქივი და ქალაქში შესრულებული ნამუშევრები, მეორე სივრცეში კი ვერა ფაღავას ფერწერული ნამუშევრები. წიგნის გაცნობის საშუალებას ორივე სივრცეში ვაძლევდით დამთვალიერებელს. ამგვარი ფორმით ხელოვანის შესახებ და მის ბიოგრაფიაზე დაწვრილებით შევიტყობდით. წიგნში გამოქვეყნებული გვაქვს ხელოვნებათმცოდნე სედუ ლემუანის ჩანაწერები. რამდენადაც, როგორც კურატორს არ მქონდა შესაძლებლობა უშუალოდ ხელოვანთან დიალოგი მენარმოებინა, გადაწყვიტე ისეთი ფიგურა წარმედგინა საგამოფენო სივრცესა თუ წიგნში, რომელიც ხელოვანს უშუალოდ იცნობდა. სედუ ლემუანი სწორედ ასეთი პიროვნებაა, რომელიც უშუალოდ ეთანამშრომლებოდა ვერას. ის ასევე ეხმარებოდა დიჟონის ხელოვნების მუზეუმს ვერა ფაღავას შემოქმედების შეძენაში, აღსანიშნავია რომ ამ მუზეუმს აქვს მხატვრის მნიშვნელოვანი კოლექცია. კვლევის პროცესში გავიცანი ასევე ძალიან საინტერესო პრაქტიკას, თუ როგორ დაუკვეთა დიჟონის მუზეუმმა სედუს ვერა ფაღავას ნამუშევრების აღწერა. ეს არ არის მშრალი ანოტაციები, არამედ ვერას ნამუშევრების ძალიან საგულისხმო ანალიზი, ე.წ. ესთეტიკურ - ვიზუალური აღწერა. ამდენად, სედუ ლემუანის ტექსტები და შეფასებები ამ გამოფენისა და მისი თანხლები წიგნის ნაწილი გახდა. გაკეთდა ლემუანის ავტორობით მომზადებული, 1976 წელს გამოქვეყნებული წიგნის ასლები – ესეც საგულისხმო იყო რომ საგამოფენო პრაქტიკაში არსებული წიგნის გაციფრულებულ ვერსიას ვიყენებდით. მთლიანობაში ასეთი მიდგომით დამთვალიერებელი ეცნობოდა არა ცალსახად მხოლოდ კურატორის ხედვას, არამედ ზოგად წყაროებს. კურატორის ხმა აღარ იყო ერთადერთი წამყვანი მოცემულობა.

ვერა ფაღავას წიგნში მეორე მნიშვნელოვანი ტექსტი – ლიზა რობერტსონის ჩანაწერები გამოვქვეყნეთ, რომელშიც მოთხრობილია ავტორის გადაადგილება პარიზში. ქალაქის მოძრაობასა და დინამიკას ლიზა რობერტსონი ხმოვანი ჩანაწერებით აღბეჭდავდა. ამდენად ეს იყო საინტერესო პარალელური მასალა, რომელიც ეხმიანებოდა ვერა ფაღავას გამოფენას, და წარმოდგენდა 1960 წელს შესრულებულ სერიას ქალაქებზე. ხმაურის საპირისპიროდ,


ვერას შემთხვევაში ეს ნამუშევრები პირიქით სიჩუმესთან ასოცირდება და ხელოვანის ჩუმი ბუნებიდან გამომდინარე უფრო მედიტაციურია. სწორედ ამიტომაც რობერტსონის ხმოვანი ჩანაწერების დინამიკა, როგორც კონტრასტი მნიშვნელოვნად მივიჩნევთ და გამოფენის და წიგნის განუყოფელ ნაწილად წარმოვადგინეთ. წიგნში დამთვალეიერებელი ნახავს ბმულს, რომლითაც ამ ხმოვან ჩანაწერებს ეცნობა. ეს მეთოდი უკვე ექსპერიმენტულად აცოცხლებს საარქივო მასალას და მთლიან გამოფენას არატრადიციული ფორმატით წარმოადგენს.

როდესაც ვსაუბრობთ არქივზე, ხშირად წარმოგვიდგება დამტკვრილი ისტორიული დოკუმენტი, რომელსაც თავისი დროითი შრე აქვს. დილემა შეიძლება გაჩნდეს იმაზე, თუ დღევანდელ ადამიანს როგორ დავაინტერესებთ ამ მასალით. დროში გაყინული ინფორმაცია, ვაკუუმი და ამ ვაკუუმის რღვევა სხვადასხვა მიდგომებით ხორციელდება, რომელიც ნაწილობრივ თქვენ გამოცდილებაზე დაყრდნობითაც გაგვაცანით. თეორიულად გრძელვადიან პერსპექტივაში როგორ ხედავთ არქივების მუდმივ დინამიური გაცოცხლებას? რამდენად შეიძლება ჩვენს რეალობაში სისტემატიზირდეს ეს პროცესი?

ზოგადად მიმაჩნია, რომ არქივებთან დაკავშირებული გამოფენები არასწორხაზოვანი, არამედ თავისუფალი ინტერპრეტაციის დიდ საშუალებას იძლევა, ამისთვის ცალკე იქმნება საექსპოზიციო ვიტრინები, დიზაინი და ინფორმაციის დახარისხებისას შესაბამისად ნაწილდება მასალა სივრცეში. ამის ძალიან კარგი მაგალითია ახლახანს ეროვნულ გალერეაში ხელოვან ნინო სეხნიაშვილის ავტორობით გახსნილი გამოფენა, რომელიც აერთიანებს მე-20 საუკუნის მნიშვნელოვან ქართული ხელოვნების მკვლევართა: რენე შმერლინგის, ლონგინოზ სუმბადის, ვახტანგ ბერიძის, ზაქარია მასურაძის შემოქმედებას. გამოფენის მიზანია მეცნიერული კვლევისა და მხატვრული შემოქმედების სინთეზის შედეგების ასახვა, ჩვენება, თუ როგორი გავლენა მოახდინა ერთმა მეორეზე და როგორ ასაზრდოებდა ეს ორი სფერო ერთმანეთს.

მგონია რომ შემოქმედებით ადამიანებთან, ხელოვანებთან ურთიერთობა განსაზღვრავს ისეთ პლატფორმათა არსებობას, რომელნიც არქივებთან მუდმივად განახლებულ ხედვებს შეიშუშავებენ. ჩემ შემთხვევაში პლატფორმა „დინება“ კერძო ინიციატივებისა და შემოთავაზებების განხილვის შემდეგ ამუშავებს სხვადასხვა პროექტს. მაგალითად ასე დავამუშავეთ გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ძალიან მდიდარი მასალა. არქივებზე მუშაობის პროცესში იკვეთება ასევე საქართველოში არსებული პრობლემა - ძალიან ცოტა მუზეუმს აქვს იმის შესაძლებლობა რომ კარგად აღჭურვილი ტექნიკით შეძლოს გაციფრულება საკუთარი არქივებისთვის. მუზეუმის გარდა თანდათან ვლინდება ტენდენცია რომ თანამედროვე თუ უფროსი თაობის წარმომადგენელი ხელოვანები მეტ მნიშვნელოვნებას ანიჭებენ თავიანთი შემოქმედების გაციფრულებას, არქივიზაციას. ბოლო პერიოდში გვქონდა თანამშრომლობა ქეთეთა ალექსი მესხიშვილთან, რომელმაც მამამისის, გოგი ალექსი მესხიშვილის არქივზე მუშაობის

საშუალება, მისი კატალოგიზაციის და კონსერვაციის საშუალება მოგვცა. პარალელურად, ნინო ჩუბინიშვილის, ჩუბიკას, შემოქმედების დაარქივებასა და კონსერვაციაზე მუშაობაც დაწყებულია. ხელოვანებისგან და მათი ოჯახებისგან ამგვარი ინიციატივების მეტად გააქტიურება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, რაც ძალიან მახარებს.



Kona Books - Point par point, Vera Pagava. 2023

საგამომცემლო საქმიანობაშიც აქტიურად მუშაობთ. კონკრეტული ესთეტიკით და შინაარსით არის შექმნილი სელექცია და ხედვა, რომელსაც ფოსტა და კონა სთავაზობს საზოგადოებას. ამ მიმართულებით როგორ ავითარებთ თქვენს იდეებს?

ფოსტა და კონა ერთ სივრცეში აერთიანებს გამომცემლობებს „კონა წიგნებს“ და „ფოსტას“. წიგნის მალაზია ქართულ დამოუკიდებელ საგამომცემლო პრაქტიკებს ეხმარება. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე ჩემთვის არის მალაზიის გვერდით მდებარე პატარა სივრცე, რომელიც მაძლევს თავისუფლებას დამოუკიდებელი ინიციატივები განვახორციელო. საქართველოში, სადაც არსებული მერყევი პოლიტიკური სიტუაცია, თავისუფალი ინიციატივების შეზღუდვა ბევრ რამეს აფერხებს ასეთი სივრცის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. ასეთ დროს, არქიტექტურა, მცირე მასშტაბი თავისებურ გადაწყვეტ როლს თამაშობს. მაგალითად, გრიშაშვილის ბიბლიოთეკა, რომელიც ვახსენე, ვფიქრობ იმიტომ გადაურჩა საბჭოთა რეჟიმის

დროს განადგურებას, რომ შედარებით მიუვალ ადგილას არაცენტრალურ სივრცეში მდებარეობს. ეს და სხვა მაგალითებიც გარშემო მარწმუნებს რომ ხშირად შემოქმედებითი პროცესების დამოუკიდებლად წარმოებისთვის ერთი პატარა ოთახიც საკმარისია. ასე ვავითარებთ ახლა საბიბლიოთეკო-სამკითხველო სივრცეს, რომელიც ჩვენს გამოცემებთან და წიგნის მაღაზიასთან კავშირშია. ასევე ამ პატარა ოთახში არქივებთან დაკავშირებულ იდეებს ვავითარებთ. ბოლო წლებში მაგალითად საქართველოში საინტერესო ტენდენციები იკვებება, იმის თაობაზე, თუ როგორ ვითარდება ხელოვანთა მიერ

ორგანიზებული წრეები, მაგალითად „კურორტი“, „ხარახურა“, „დაუკრეფავი“. ეს კოლექტივები და მათი არქივიზაცია უმნიშვნელოვანესი გვგონია. ჩვენი სივრცის საფუძლველზე ვცდილობთ შევქმნათ მაგალითი და ყველა ამ კოლექტივს დავეხმაროთ თავისი მეთოდოლოგია შექმნან. ჯერჯერობით ამ მიდგომის ჩამოყალიბების პროცესში ვართ, შევიმუშავებთ დოკუმენტაციის და არქივირების ენა. იმედი გვაქვს ეს პროცესი თავად იქცევა საინტერესო არქივად და წლების შემდეგ თავის მნიშვნელობას შეიძენს.

მღუმარე ქალაქები - ვერა ფაღავა, ინსტალაციის ხედები, ფოტო: კრიგორი სოკოლინსკი



WITH **NINA
AKHVLEDIANI**

WHEN DID YOU FIRST BECOME INTERESTED IN WORKING WITH ARCHIVES? BEFORE FOUNDING THE DINEBA PLATFORM, WHAT INSPIRED YOU TO IMPLEMENT THIS IDEA?

When I returned to Georgia, it took several years for me to start working on curatorial projects. During this time, I encountered a significant challenge: if a curator wanted to exhibit public collections or archives, accessing these materials was often difficult. In many cases, museums were reluctant to cooperate. This situation piqued my interest. I also heard various opinions from various researchers, who often vaguely mentioned that certain materials had been lost in a fire or disappeared after the civil war. It became increasingly unclear how to locate materials on different topics. In 2019, I met Mariam Kakabadze, an art historian and curator whose family preserves the important collection and archive of David Kakabadze. Remarkably, the family had digitized this material themselves, and I noticed how much easier this accessibility made the research process for me as a curator. Together with the Kakabadze Foundation, we implemented several projects, catalogs, and exhibitions, which ultimately led to the creation of a digital archive. Personally, working with digitized visual materials proved to be much more engaging because I could see the full picture rather than isolated fragments. These experiences served as the initial inspiration for establishing a platform dedicated to this field. The platform focuses on processing and cataloging visual and textual materials, which later serve as the foundation for other important initiatives.

AN IMPORTANT PROJECT AND COLLABORATION THAT SHAPED YOUR CURATORIAL VISION AND WORK WITH ARCHIVES.

The second significant project was my collaboration with the German artist Olaf Nicolai, who developed an interest in the State Silk Museum. Books and art publishing play a major role in Olaf Nicolai's artistic practice – he has published over 100 books throughout his career. When I received an invitation to collaborate with him, my interest naturally aligned, and we focused on researching the Silk Museum's archival materials. In the process, we realized how relevant it is today for artists to engage with archives to reinterpret heritage and integrate archival material into contemporary art. Leading institutions and museums often drive such projects. While working with the Silk Museum, we were invited to the HKW (House of World Cultures) in Berlin. There, curators, artists, and professionals from various disciplines shared their experiences and perspectives on working with archival topics. The project culminated in a symposium and exhibition in 2021. In collaboration with the museum, we also created *Seri(a)*, an artist's book, which was designed together with a German graphic designer Helmut Wolter.

The central idea was to develop a platform for the museum that could be used to activate its collections, particularly during its ongoing rehabilitation process. I consider this initiative a success, and it significantly contributed to my development, both methodologically and in terms of exhibition design. For instance, *Seri(a)* became the main artifact of the exhibition, with its contents – historical materials and archival references – resonating throughout the exhibition space. The exhibition design included showcases that presented the Silk Museum's archives in divided sections, allowing for on-site rearrangement. As the exhibition progressed, the flexible rearrangement of exhibits raised thought-provoking questions about the rigidity of an exhibition's narrative and how its content could evolve dynamically.






A SIGNICANT PROJECT WHICH ALSO PRESENTED ARCHIVAL MATERIAL IN AN EXHIBITION FORMAT, WAS THE VERA PAGAVA EXHIBITION. TELL US ABOUT THIS INITIATIVE.


The Vera Paghava exhibition, held at TBC Concept in 2023, was built around a book published specifically for the project. This book was neither a monograph nor a catalogue but was instead designed to engage in dialogue with the exhibition spaces. In the first space, visitors encountered the artist's archive and works on paper, while the second space showcased Vera Pagava's paintings. Visitors had the opportunity to engage with the book in both spaces, allowing them to delve deeper into the artist's life and biography. The book included notes by art historian Serge Lemoine. As a curator, I did not have the chance to engage in direct dialogue with the artist. Therefore, I chose to present a figure in the exhibition and the book who had personally known Vera Pagava. Serge Lemoine was uniquely suited for this role, having worked closely with the artist and facilitated the Dijon Museum of Fine Arts' acquisition of her works—a museum that holds a significant collection of her pieces. During my research, I also discovered an intriguing practice where the Dijon Museum commissioned Lemoine to describe Pagava's works. These were not merely archival annotations but meaningful, aesthetic-visual analyses. Lemoine's texts and evaluations became an integral part of both the exhibition and the accompanying book. We recreated copies of the book Lemoine had prepared in 1976, using a digitized version in the exhibition. This was particularly significant because it blended archival material into the exhibition's practice. By doing so, we introduced not just the curator's vision but also broader sources, ensuring the curator's voice was no longer the sole narrator.

The book also featured a second key text: Lisa Robertson's notes, which narrated the story of her movements in Paris. Robertson captured the city's energy and rhythm through sound recordings, creating an interesting contrast to Paghava's works, which are associated with silence and meditative stillness. This contrast was intentional. While Vera Paghava's 1960 series on cities evoked quiet contemplation, Robertson's dynamic soundscapes highlighted the contrasting vibrancy of urban life. These audio recordings were presented as an integral part of the exhibition and were accessible through a link in the book. This approach brought archival material to life, experimenting with unconventional ways of presenting exhibitions. By integrating contrasting materials and multimedia, the exhibition offered viewers a multidimensional experience, rethinking the traditional boundaries of curatorial practice.



SERI(a) 1, Nino Tchatchkhiani, Olaf Nicolai - Kona Books, Tbilisi. 2021

WHEN WE TALK ABOUT ARCHIVES, WE OFTEN IMAGINE DUSTY HISTORICAL DOCUMENTS LAYERED WITH TIME. A DILEMMA ARISES: HOW DO WE ENGAGE CONTEMPORARY AUDIENCES WITH THIS MATERIAL? INFORMATION FROZEN IN TIME — A VACUUM — AND THE DISRUPTION OF THIS VACUUM CAN BE APPROACHED IN VARIOUS WAYS, AS YOU'VE PARTLY DEMONSTRATED THROUGH YOUR EXPERIENCE. THEORETICALLY, HOW DO YOU ENVISION THE CONSTANT DYNAMIC REVITALIZATION OF ARCHIVES IN THE LONG TERM? TO WHAT EXTENT CAN THIS PROCESS BE SYSTEMATIZED IN OUR CONTEXT?



Silent Cities_Vera Pagava_Install views_photo by Grigory Sokolinsky

I believe that exhibitions centered on archives offer an excellent opportunity for non-linear yet free interpretation. This can be achieved through tailored display cases, deliberate design, and thoughtful spatial organization of materials. A recent example is the exhibition by artist Nino Sekhniashvili at the National Gallery. It brings together the work of significant Georgian art researchers from the 20th century — Rene Schmerling, Longinoz Sumbadze, Vakhtang Beridze, and Zakaria Maisuradze. The exhibition reflects the synthesis of scientific research and artistic creativity, showcasing how the two influenced and nourished each other.

I think collaboration with creative individuals, particularly artists, is essential for platforms that aim to sustain a continuously evolving vision for archives. In my case, the "Dineba" (Georgian for current) platform develops projects by discussing private initiatives and proposals. For instance, we worked on the extensive material from the Ioseb Grishashvili Library.

However, a significant issue in Georgia is that very few museums have the resources or equipment to digitize their archives effectively. Beyond museums, there is a growing trend where artists recognize the importance of digitizing and archiving their work. Recently, we have collaborated with Ketuta Aleksis-Meskhishvili, who allowed us to work on the archive of her father, Gogi Aleksis-Meskhishvili, to catalog and conserve it. In parallel, we have initiated the archiving and conservation of the works of Nino Chubinishvili (Chubika). The activation of such initiatives by artists and their families is a vital and encouraging process. It highlights a shift toward greater awareness and responsibility for preserving creative legacies, which brings me immense satisfaction.

YOU ARE ALSO ACTIVELY INVOLVED IN PUBLISHING. THE SELECTION AND VISION THAT POSTA AND KONA OFFER TO THE PUBLIC ARE CRAFTED WITH A DISTINCT AESTHETIC AND CONTENT. HOW DO YOU DEVELOP YOUR IDEAS IN THIS DIRECTION?

Posta and Kona bring together the publishing houses Kona Books and Posta under one roof. The bookstore is a response to the practices of independent publishing in Georgia. At this stage, what matters most to me is the small space adjacent to the store, which allows me the freedom to implement independent initiatives. In Georgia, where an unstable political environment and restrictions on free initiatives create significant challenges, having such a space feels essential.

In these circumstances, architecture and small-scale spaces play a crucial role. For instance, the Grishashvili Library, which I mentioned earlier, may have survived censorship and destruction of the library collections during the Soviet era because it was located in a relatively inaccessible, non-central area. Examples like this reinforce my belief that even a modest room can be enough to foster independent creative processes.

Currently, we are developing a library and reading space connected to our bookstore and publications. This small space also serves as a platform for exploring ideas related to archives. In recent years, Georgia has seen emerging trends of artist-led collectives, such as Kurorti, Kharakhura, and Daukrepani. These self-organized spaces are developing in fascinating ways, and we believe their documentation and archiving are of critical importance.

Our goal is to use our space as an example and assist these collectives in creating their own methodologies. While we are still in the early stages of forming this approach, we have begun to develop a language for documentation and archiving. We hope that this process itself will become an archive of its own, gaining significance in the years to come.



ანაქივი, როგორც კვლევის სასიზოვხლო რესურსი და უახლესი ისტორიული მახსიაჩაბა

XX საუკუნის ქართული ვიზუალური ხელოვნება, თავისი რთული პოლიტიკურ-სოციალური პროცესებითა და წინა-პირობებით, მრავალშრიან, რთულწახნაგოვან სურათს ქმნის, სადაც ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი და საკვლე-ვია. ასეთ დროს, რასაკვირველია, სახელოვნებო არქივებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მარგინა-ლიზებულ, ძირითად სახელოვნებო პროცესებს მოწყვე-ტილ ხელოვანთა გამოვლენასა და დოკუმენტირებაში, არასაკმარისი ისტორიული სურათის შევსებასა და დაზუს-ტებაში.

ასეთი არქივები იმ მხატვრების აღმოჩენის წყარო ხდება ხოლმე, რომელთა აღიარება და წარდგენა თავის დროზე არ მოხდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ამ თვალსაზრისით ხელოვნების ფონდის "ანაგის" არქივი სრულიად უნიკალურ მნიშვნელოვნებას იძენს - მისი მრავალფეროვნება ქართული ხელოვნების ისტორიის ისეთ არტეფაქტებსა და ავტორებს მოიცავს, რომლებიც დომინანტური სახელოვნებო დისკურსების გვერდით არ ჩანდნენ და ნაკლებადაა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი XX საუკუნის ქართული ვიზუალური ხელოვნების ისტორიიდან.

აღნიშნული არქივის მთლიანი პანორამული აღქმა, კოლექციაში ლოგიკური ბმებისა და შინაარსობრივი მიმართებების ძიება, ერთგვარი გამოწვევაა მკვლევარისათვის, რაც ამ საქმის სირთულეცაა და პროფესიული განვითარების უნიკალური შესაძლებლობაც. თუმცა, აქ ყველაზე საინტერესო აღბათ მაინც ნაკლებად ცნობილი ავტორების (ხელახალი) აღმოჩენაა, რაც მკვლევარის პროფესიულ თვალსა და ინტუიციაზე, გემოვნებაზე, გამოცდილებაზე და ცოდნაზე დამოკიდებულია. "აღმოჩენების ისტორიიდან" ბევრი ავტორის გახსენება შეიძლება ხელოვნების ფონდის "ანაგის" არქივიდან, რომელიც რიჩარტ ვიზუალთან თანამშრომლობით მუშავდება. მაგალითად, საბჭოთა პერიოდის საბავშვო წიგნის გრაფიკის ხელოვნების ორი მნიშვნელოვანი ავტორი - გურამ ქლიბაძე და ედუარდ ამბოკაძე. მათი წიგნებისა და საბავშვო ჟურნალ-გაზეთების დასურათება, სახასიათო პერსონაჟები განსაკუთრებით ნაცნობი და საყვარ-

ხელოვნება ვერ ვითარდება ვაკუუმსა და იზოლაციაში. მასზე გავლენას ახდენს ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი. ეს მიმართებები ძალიან ნათლად ხელოვნების ისტორიკოსისათვის სწორედ არქივის შესწავლისას ვლინდება, რაც უმთავრესი გზა კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის სიღრმისეულად გაგებისა და შენარჩუნებისათვის.

ახალი არავისთვისაა, რომ ხელოვნების არქივები ფასდაუდებელი რესურსია, სპეციალისტებისათვის, მხატვრული მოვლენების, ისტორიული და კულტურული პროცესების სიღრმისეულად შესწავლა-გაგებისათვის. ეს მასალები, გარდა იმისა, რომ ბევრ საკითხს ეხმიანება და ასახავს, როგორ სახეს იძენდა ხელოვნება ეპოქების კვალდაკვალ ამავდროულად, ერთგვარი კატალიზატორია თანამედროვე შემოქმედებითი თუ სამეცნიერო სფეროს განვითარებისთვის, როგორც კრიტიკული ხიდი - დიალოგი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. ამიტომაცაა, რომ საარქივო მასალა - უნიკალური ინფორმაციული სიმდიდრე, ხელს უწყობს ახალი იდეების/ინტერპრეტაციების გაჩენას სახელოვნებოთმცოდნეო და საკურატორო საქმეში.



რელია უფროსი თაობებისთვის. სწორედ ამ ნამუშევართა ორიგინალები ზემოაღნიშნული კოლექციის დიდ ნაწილს იკავებს, რაც არქივს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ეს კოლექცია საბჭოთა წიგნის გრაფიკის განვითარების გარკვეულ სურათს გვთავაზობს ამ არქივის სხვა ავტორებთან ერთად.

ხელოვნების ფონდის “ანაგის” კოლექცია, უმეტესად 1940-იანი წლებიდან, ქართული მხატვრობის ისტორიის მნიშვნელოვან ავტორებს მოიცავს; როგორებიც არიან ყველასათვის კარგად ცნობილი ნატალია ფალავანდიშვილი, რაფიელ მაყაშვილი, შალვა მაყაშვილი, კორნელი სანაძე, ნანა მესხიძე, თეიმურაზ ყუბანეიშვილი, ანა შალივაშვილი, ოთარ ჭაფარიძე, ბეჟან შველიძე, ედუარდ ამბოკაძე, ლევ ბაიახჩივი, თემო ჭაფარიძე, ომარ დურმიშიძე და ა.შ. და ამავდროულად, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი შალვა მამისაშვილი, ნინო ფოფხაძე, გაიომ კოტრიკაძე, გრეგორ დანელიანი და ა.შ. ამავე კოლექციის ნაწილია ისეთი გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრები, რომელთა ავტორებიც არ არის ცნობილი და არქივში „უცნობი მხატვრობის“ სტატუსითაა შესული. კოლექციის ამ ნაწილზე მუშაობა საინტერესოა სწორედ ასეთი წინაპირობის გათვალისწინებით, რაც განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს და მუშაობის ყველაზე სათუთი ნაწილია. ამგვარად, ამ მოკლე ექსკურსითაც კი ჩანს, რომ



არქივის მთლიანი ქსოვილი არაერთგვაროვანი და მრავალშრიანი ყველა ასპექტით, რაც სირთულესთან ერთად, ძლიერი შთაგონების წყაროც კი შეიძლება გახდეს.

თანამედროვე სამყაროში არქივები არ გულისხმობს მხოლოდ ნამუშევრების შენახვას და დაცვას - ისინი მნიშვნელოვანი შთაგონების წყარო შეიძლება გახდეს თანამედროვე მხატვრებისა და კურატორებისთვის. ასეთი ტიპის არქივებზე წვდომა მათ საშუალებას აძლევს ერთგვარი კავშირი ეძიონ წინა თაობის ხელოვანებთან, დაეცნონ და ინტერპრეტაციად აქციონ მათი იდეები, გააფართოონ საკუთარი შემოქმედებითი საზღვრები. ამ თვალსაზრისით არც რიჩარტ ვიზუალის გუნდია გამონაკლისი, რომელიც ხელოვნების ფონდ ანაგის კოლექციას ხელახალი ხედვით გადაიხირობს. ახალი კონტექსტების ძიება და დიალოგი თანადროულ ხელოვნებასთან ჩვენი ერთ-ერთი მიზანი და საზოგადოებრივი არეალია.

პროცესის სიცოცხლისუნარიანობას მისი მუდმივი განახლება და ახალი იდეები განსაზღვრავს. ჩვენი გუნდი გეგმავს აღნიშნული კოლექციის ბაზაზე ნამუშევრების მაღალი გარჩევადობის ციფრული არქივი შექმნას - ციფრული არქივი, რომელიც მოიცავს კონტექსტურ ინფორმაციას თითოეული ნამუშევრის შესახებ და ხელმისაწვდომი იქნება საერთაშორისო აუდიტორიისთვის. ციფრული არქივის კიდევ ერთი მიმართულებაა აუდიო ან ვიდეო ინტერვიუები ხელოვანებთან, ხელოვნების ისტორიკოსებთან, კურატორებთან, გალერისტებთან, რესტავრატორებთან და კოლექციონერებთან. ამ ინტერვიუებს შეუძლიათ აღადგინონ და ამ გზით გავანალიზოთ მხატვრული პროცესების, პერიპეტიების და ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები. საერთო ჯამში, ნამუშევრების და ინტერვიუების სინერგია შექმნის დინამიურ, ცოცხალ არქივს, რომელშიც აისახება სხვადასხვა ხედვა ქართულ ხელოვნებასა და კულტურაზე და ხელს შეწყობს კოლბორაციებს დარგის სპეციალისტებსა და ხელოვანებს შორის.

მოკლე მიმოხილვითაც ჩანს, რომ არქივებში მუშაობა მნიშვნელოვანი კითხვების აქტუალიზებას ახდენს და სახელოვნებო, სამეცნიერო თუ შემოქმედებით სფეროში კრიტიკული აზროვნების შემომტანი ხდება. ხელოვნებათმცოდნეებს, კურატორებსა და ხელოვანებს, ერთი მხრივ, შეუძლიათ განაახლონ/შეცვალონ/დააზუსტონ ისტორია, არქივში ნაპოვნი მასალების საფუძველზე, დასვან ახალი კითხვები, იყვნენ მუდმივ დიალოგში წარსულთან და მეორე მხრივ, ამ მიმართებებში ეძიონ შთაგონება თავის შემოქმედებით თუ კვლევით საქმიანობაში.

MARIAM MIKADZE

HISTORICAL DISCOURSE

ARCHIVES

**AS A VITAL RESOURCE
FOR RESEARCH AND THE
LATEST HISTORICAL
MEMORY**



Art cannot develop in a vacuum or in isolation. It is inherently shaped by historical, social, political, and cultural contexts. These connections become most apparent to the art historian through the study of archives, which serve as a crucial means to deeply understand and safeguard cultural and intellectual heritage.

It is no secret that art archives are an invaluable resource for specialists seeking to study and deeply understand artistic events and historical and cultural processes. Beyond addressing numerous questions and illustrating how art has evolved over time, these materials also serve as catalysts for the development of contemporary creative and scientific fields. They act as a critical bridge,

fostering dialogue between the past, present, and future. This is why archival material – an unparalleled repository of information – plays a crucial role in inspiring new ideas and interpretations in art history and curatorial practice.

Georgian visual art of the 20th century, shaped by complex political and social processes, presents a multi-layered and intricate narrative, with much still unclear and in need of further research. In such a context, art archives become even more crucial. They play a vital role in identifying and documenting marginalized artists who were excluded from mainstream artistic movements, helping to fill gaps and clarify the incomplete historical record. These archives often uncover artists who, for various reasons, were not recognized or appreciated during their time. In this regard, the Anagi Foundation collection, in strategic partnership with Reach Art Visual, holds unique significance. Its diverse collection includes artifacts and works by artists from Georgian art history who remained unseen alongside dominant artistic discourses and are still relatively unknown to the broader public. This makes it an invaluable resource for understanding the lesser-known dimensions of 20th-century Georgian visual art.

The panoramic exploration of the entire archival fabric of the Anagi Foundation collection, in strategic partnership with Reach Art Visual, presents both a challenge and an opportunity for researchers as they search for logical connections and thematic relationships. This process is demanding but offers a unique pathway for professional growth. Perhaps the most fascinating aspect lies in the (re)discovery of lesser-known artists, a task that hinges on the researcher's professional intuition, taste, experience, and knowledge. Among the many rediscoveries from the abovementioned archive are two notable figures in Soviet-era children's book illustration: Guram Klibadze and Eduard Ambokadze. Their illustrations for books, as well as popular magazines and newspapers, created characters that are particularly familiar and beloved by older generations. The originals of these works form a significant portion of this collection, enhancing its exceptional value.

Furthermore, this collection provides a window into the

evolution of Soviet book graphics, not only through the works of Klibadze and Ambokadze but also through the contributions of other artists preserved in the archive. This makes this particular archive an invaluable resource for understanding this unique artistic field.

The Anagi Foundation collection, largely originating from the 1940s, encompasses works by prominent figures in the history of Georgian painting, including Natalia Palavandishvili, Rapiel Makashvili, Shalva Makashvili, Korneli Sanadze, Nana Meskhidze, Teimuraz Kubaneishvili, Ana Shalikashvili, Otar Japaridze, Bezhan Shvelidze, Eduard Ambokadze, Lev Bayakhchev, Temo Japaridze, Omar Durmishidze, and others. Simultaneously, it features works by lesser-known artists such as Shalva Mamisashvili, Nino





Popkhadze, Gaioz Kotrikadze, and Gregor Danelian. Additionally, the collection contains graphic and painted works whose creators remain unidentified, cataloged under the status of “unknown artist.” Researching this part of the collection is particularly intriguing because it requires careful observation and represents the most delicate aspect of archival work. Even with this brief overview, it is evident that the archive is heterogeneous and multi-layered in every respect. While this complexity presents challenges, it also offers a rich source of inspiration for those who engage with it.

In the modern world, archives are no longer solely about preserving works of art – they have become vital sources of inspiration for contemporary artists and curators. Access to such archives allows them to connect with artists of previous generations, reinterpret their ideas, and push the boundaries of their own creativity. The Reach Art Visual team embodies this approach, striving to rethink the collection, uncover new contexts, and engage in dialogue with contemporary art.

The vitality of this process lies in its continuous renewal and the generation of fresh ideas. Our team plans to create a high-resolution digital archive. This digital archive will feature contextual information for each work and be accessible to an international audience. Another key component of the project includes audio and video interviews with artists, art historians, curators, gallerists, restorers, and collectors. These interviews aim to reconstruct and analyze critical moments in artistic processes and the history of art. The combination of works and interviews will create a dynamic, living archive that reflects diverse perspectives on Georgian art and culture while fostering collaboration among professionals and artists in the field.

Even this brief overview demonstrates that working with archives brings important questions to light and introduces critical thinking across artistic, scientific, and creative disciplines. Art historians, curators, and artists can use archival materials to revise, update, or clarify history, engage in ongoing dialogue with the past, and draw inspiration for their creative and research pursuits.



ს ი ს მ ძ ე ს ძ ე ვ ა
ლუჩი დიუჩი



ლურჯი დღიური ნინო ძანძავას შემოქმედებითი სერია ინსპირირებულია აფხაზეთში ომამდე გადაღებული სამოყვარულო ფოტოებით, რომლებიც ნინომ სოხუმში, თბილისში, ლიბურგში, თესალონიკსა და სხვა ადგილებში მოიძია. ომის დასრულებიდან 30 წლის თავზე ის წარსულის ვიზუალურ სახე-ხატებს თანამედროვე კონტექსტში ათავსებს და ისტორიული მასალის არტისტულ ინტერპრეტაციას მიმართავს. საოჯახო ფოტოებიდან ნამუშევრებზე აღმოჩენილი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები იმ მიდმიერი სამყაროდან იმზირებიან, რომელიც დიდი ხნის წინ გაქრა. მათ მზერაში და სხეულებში კვლავაც იკითხება სიხარული თუ დარდი, ფოტოს გადაღების მომენტში რომ განიცდიდნენ. მაგრამ აჩრდილებს დროის კვალიც ეტყობათ – არტისტი უარს ამბობს დაკონსერვებული დროის ილუზიის შექმნაზე. წარსულს ის ომის შემდეგ ცხოვრებაზე რეფლექსიას ამატებს და, დროის შრეებში გახვეული საზიარო მესხიერების გამოხმობით, სვამს კითხვას მომავლის შესაძლებლობაზე.

გალერეა 4710-მა აღნიშნული სერია ამავე დასახელების გამოფენის „ლურჯი დღიურის“ ფარგლებში წარმოადგინა. გამოფენა ორგანიზებული იყო საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მიერ EU4Dialogue პროექტის ფარგლებში. წარმოდგენილი ნამუშევრების სერია სპეციალურად გამოფენისთვის შეიქმნა. ნამუშევრები შესრულებულია შერეულ მედიაში (ცი-

ანოტიპია, აკრილის მარკერი, ტუში ქაღალდზე) უკამერო ფოტოგრაფიული პროცესის, ხატვისა და ბეჭდვის ტექნიკის გამოყენებით.

მოსამზადებელ და კვლევის პროცესში ნინო ძანძავასთან ითანამშრომლეს იულია ხარაშვილმა, თინა ჩალიგავამ, ლია ვოზბამ, ნარა კუჩბამ, არხიზ (სიპა) ლაბახუამ, ლანა ლაბახუამ, ლალი მინჯიამ, ოლენა ვანდიბა-კრაიბელმა, ხათუნა შაკაიამ, ლუიზა კობახიძემ, ევა ქირიამ, მანანა ურუშაძემ, ოლგა იახიოპულომ, ოლგა ხორასანოვამ, ლიუდმილა ქეცბაია-დონჩენკომ.

გამოფენაზე დამთვალიერებელი ისმენდა ხმოვან ჩანაწერებს. ეს იყო არტისტის მიერ გამოყენებულ საარქივო ფოტოებზე ასახული ადამიანების ან მათი მეგობრებისა და ნათესავების ხმები. ხუთი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი (გერმანელი, ქართველი, აფხაზი, უკრაინელი, ბერძენი) საუბრობს შერჩეულ ფოტოებზე, იხსენებს გადაღების მომენტს, ფოტოზე ასახულ ადამიანებს ან საკუთარ თავს და აღწერს შთაბეჭდილებას, რომელიც ათეულობით წლის გასვლის შემდეგ ფოტოს თვალყურებისას უჩნდებათ. ისტორიის ანახლელად ქცეულ ფოტოსთან ადამიანების ხელახალი შეხვედრისას წარმოშობილი რეაქცია, თავის მხრივ, ახალი დოკუმენტი და კომენტარია.

გამოფენის ყურადღების ცენტრში მოექცა ფოტომემკვიდრე-



ობა, რომელიც ისტორიის განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს და გვანახებს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას, კამერულ სიტუაციასა და ავთენტურ გარემოს. ამ ფოტომემკვიდრეობის მაგალითის სახით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სოხუმელი მოყვარული ფოტოგრაფის, კონსტანტინე ბრინცვეის სამი ფოტო. ომის დაწყებამდე ბრინცვეი გულრიფშის რაიონ სოფელ მაჭარაში მდებარე დაწესებულება „სოფტეფნიკაში“ მუშაობდა სატვირთო სასწორების შემკვეთებად. იყო წიგნებით მოვაჭრეც – სერგო ორჯონიკიძის სახელობის პარკში კვირაში ერთხელ ყიდდა წიგნებს და ყიდულობდა კიდეც, რადგან კითხვა მისი საყვარელი საქმე იყო. ფოტოებს მეტწილად ხალხს უღებდა, მათ შორის მეზობლებს. შემდეგ მშვიდობის გამშობზე არსებულ ფოტოატელიუმი ბეჭდავდა მათ და მეზობლებს ურიგებდა. ასე მოხვდა მისი ათამდე ფოტო მედეა მამფორიას და რეზო ძანძავას ოჯახში. გამოფენაზე წარმოდგენილ ერთ-ერთ სურათზე თავად კონსტანტინეც ჩანს (ბავშვით ხელში). კონსტანტინე ბრინცვეი ომის დროს უგზოუკვლოდ დაიკარგა. სოხუმში დარჩენილი დედა მას ოცზე მეტი წლის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა.

1993 წელს, აფხაზურ-ქართული კონფლიქტის შედეგად, ტკივილი და აუნაზღაურებელი დანაკარგი კონფლიქტის ორივე მხარეს აღმოჩენილმა ადამიანებმა თანაბრად იწვნის. ომის შემდეგ აფხაზეთში დარჩენილი და აფხაზეთიდან ადგილნაცვალი მოსახლეობა განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ემოციურ ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს სრულიად ახალ გარემოში მოუწიათ სწრაფად ადაპტირება, აუცილებელი რესურსების გარეშე. მეორე მხრივ, აფხაზეთში დარჩენილებმა დიდწილად განადგურებულ, მაგრამ შინაურ ჰაბიტატში განაგრძეს ცხოვრება. თუმცა, ახლადშემქნილი ტრავმული გამოცდილებების გარდა, კიდეც ერთი რამ, რასაც ქართველები, აფხაზები და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ხალხები იზიარებენ, რეგიონის კოლექტიური მემსიერებაა.

გამოფენის ძირითადი ღერძი სწორედ ამ საზიარო მოგონებების გაცოცხლება იყო.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის და თანადაფინანსებულია გოეთეს ინსტიტუტის მიერ EU4Dialogue პროგრამის ფარგლებში.

BLUE NOTEBOOK

BY NINO DZANDZAVA

Photo by Iliia Samurganidi



BLUE NOTEBOOK series is inspired by amateur photographs shot in prewar Abkhazia, which Nino Dzandzava collected in Sukhum/i, Tbilisi, Limburg, Thessaloniki and other places. Thirty years after ending the war, she translates the visual images of the past into a modern-day context and artistically interprets historical material. People of different nationalities, who migrated from the family photographs to Nino's artworks, stare back from the world beyond – a world that ceased to exist long ago. Their gaze and bodies still reflect the joy or sorrow present while posing for the camera. But these fantoms also carry the trace of time – the artist refuses to create the illusion of time preserved. She adds the reflections on life after the war to the past and, while uncovering shared memories from the layers of time, poses a question about the possibility of the future.

Gallery 4710 presented "Blue Notebook" in November 2023 and organized in the framework of the EU4Dialogue project by the Goethe-Institut Georgia. A series of works created specifically for this exhibition will be showcased. The artworks are carried out in mixed media (cyanotype, acrylic marker, drawing ink on paper) using a camera-less photographic process, drawing and printing techniques.

Yulia Kharashvili, Tina Chaligava, Liya Vozba, Nara Kuchba, Arkhip (Sipa) Labakhua, Lana Labakhua, Lali Minjia, Olena Kandiba-Kreibel, Khatuna Shakaia, Luiza Kobakhidze, Eka Kiria, Manana Urushadze, Olga Giachiopoulou, Olga Khorasanova and Lyudmila Ketsbaia-Donchenko collaborated with Nino

Dzandzava in the preparation and research process of the exhibition.

The exhibition also presented the sound recordings. Those are the voices of either the people depicted in the archival photographs used by the artist or the relatives and friends of those shown. People of different nationalities (German, Georgian, Abkhaz, Ukrainian, Greek) talk about the selected photographs, recalling the moment of taking the picture and sharing their impressions after looking at it today, now decades later. Recorded reactions emerging from re-encountering a photo that has become a snapshot of history becomes, on its own, a new kind of document and a commentary.

The exhibition focused on a photographic legacy that provides an alternative perspective on history by demonstrating the daily life of people in casual situations and authentic environments. As an example of this photographic heritage, the exhibition showcases three photos of the amateur photographer from Sukhum/i, Konstantin Bryntsev. Before the war, Bryntsev worked as a repairer of truck scales at the "Sopteknika" facility in the Machara, Gulripshi district village. He also used to be a bookseller - he sold and bought books once a week in the park named after Sergo Orjonikidze – reading was his favourite thing. He mostly took photos of people, including his neighbours. Then Konstantin used to process his pictures in the photo atelier on Peace Avenue and distributed them to his neighbours. That's how ten of his photos ended up in the family of Medea



Mamporia and Rezo Dzandzava. One of the pictures presented at the exhibition shows Konstantin himself (with a child in his arms). Konstantin Bryntsev went missing during the war. His mother, who remained in Sukhum/i, searched for him for over twenty years in vain.

In 1993, as a result of the Abkhaz-Georgian war, pain and irreparable loss equally permeated both sides of the conflict. The population remaining in Abkhazia and Georgians displaced from Abkhazia found themselves in different political, social and emotional circumstances. On the one end, the displaced had to quickly adjust to a brand-new environment, usually without many resources. On another end, those who remained in Abkhazia continued to live in a largely destroyed but familiar environment. Beyond newly acquired traumatic experiences, what Georgians, Abkhaz, and other peoples of Abkhazia share is a collective memory of the region.

The subject of the exhibition was to revive those collective memories.

This project was funded by the EU, and co-funded by the Goethe-Institut in the frames of the EU4Dialogue programme.



გურამ ნიბახაშვილი



არსებობს დოკუმენტი, რომელიც თავისთავად დოკუმენტია, მაგრამ არსებობს მოვლენა, რომლის გადაღება კიდევ უფრო მეტად მნიშვნელობას იძენს და დროთა განმავლობაში მეტად ფასეული ხდება.

თავიდან როდესაც იღებ, აფიქსირებ მომენტს, დროის გასვლის შემდეგ, ეს მომენტი ხელოვნების ნაწილი ხდება. მაგალითად, გავიხსენებ შალევიჩის შავ კვადრატს, რომელზეც დიდი დებატებია დღემდე, კარგია თუ ცუდია, მხატვარმა თვითონ მია-




ნიჭა ეს ღირებულება თუ სხვამ მიანიჭა. ნამუშევრის მნიშვნელობასა და ხელოვანის ჩანაფიქრს საუკეთესოდ ასახავს გამოფენის ფოტო, რომელზეც ნაჩვენებია თუ როგორ გამოიფინა პირველად შავი კვადრატი. შავი კვადრატი გამოფენილი იყო კედლის ზედა მარჯვენა კუთხეში, ზუსტად იგივენაირად, როგორც ხატი. ასეთი დამოკიდებულება მიუთითებს იმაზე, რომ მხატვარმა თავად მიანიჭა ზეალმატებული მნიშვნელობა ნამუშევარს და ფოტო ზუსტად ასახავს ამ მიმართებას.

ჩემს შემთხვევაში 90-იან წლებს თუ გავიხსენებთ საქართველოში ამ პერიოდში სხვადასხვა გამოფენა იხსნებოდა, მაგრამ ასევე ორგანიზდებოდა ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენები საზღვარგარეთ. თავდაპირველად, ამ პროცესს აღვებჭდავდი და ვაფიქსირებდი, როგორც მონაწილე, შემდეგ ამ მასალს უკვე ისტორიული მნიშვნელობა მიენიჭა. ეს ფოტოდოკუმენტაცია ასახავს თუ

Amstelveen

რა პერიოდში როგორი ტიპის ხელოვნება იყო აქცენტირებული და რა დაინტერესება იყო ქართული ხელოვნების მიმართ საზღვრებს გარეთ. მე ცხადია სრულ სურათს ვერ ავსახავდი. ვიღებდი მხოლოდ იმ გამოფენებს რომელშიც თავად ვმონაწილეობდი, თუმცა ამ დოკუმენტაციაშიც კარგად ჩანს ზოგადი დინამიკა. მაგალითად ის, თუ როგორ იფინება ნამუშევრები, როგორია გამოფენის დიზაინი. მოგეხსენებათ, რომ ექსპოზიციის დიზაინი მუდმივად იცვლება და უფრო და უფრო თანამედროვე ხდება. ამას გარდა, დღევანდელი საქართველოსთვის აქტუალურია ეს ფოტოები, ქართული ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით. საინტერესო ტენდენცია იკვეთება იმისა, თუ როგორ ვითარდება ცალკეული ავტორი მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, 90-იანების ბოლო პერიოდამდე. ამიტომ მიმაჩნია რომ ეს ძალიან ფასეული და დღევანდელობისთვის აქტუალური დოკუმენტაციაა.



პირადად მე ყოველთვის ვფუნქციონირებდი როგორც ფოტოგრაფი, მაგრამ გარდა იმისა რომ აღვებეჭდავდი, თავადაც ვმუშაობდი სხვადასხვა ფორმით საარქივო მასალასთან. ხშირად ვმუშაობდი სხვადასხვა მედიუმშიც. ამას ასახავს კონკრეტული სერია, რომელიც წარმოდგენილია ჩემს სოლო გამოფენაზე „გადანერა“. 90-იან წლებში ხშირად ვაკეთებდი კოლაჟებს, ჩანახატებს, ობიექტებს. ამავე პერიოდში შევქმენი საბჭოთა იდეოლოგიური კინო პლაკატების სერია. წინააღმდეგობა, რომელსაც ეს პლაკატები იწვევდა ჩემში, მიბიძგებდა რომ ეს ისტორია უნდა გადაინეროს. ეს არის 1988 - 89 წლები და უკვე ახალი სიო „დაქრის“. ვცდილობდი იმ დასავლური ფასეულობების გადააზრებას, რაზეც





VIENNA 1989



აქამდე წვდომა არ გვქონდა. აქედან გამო-
მდინარე ამ ნამუშევრებში შემოდის ახალი
ინფორმაციისა და ფასეულობების ელემენ-
ტები, მაგალითად, გაორებული გამოსახუ-
ლება. ეს გაორებული გამოსახულება ზუსტად
ამის ნიშანი იყოს ჩემთვის, თუ რა არის სინამ-
დვილე და როგორ ვფიქრობთ ამის თაობაზე.
გამოსახულებას სჭირდება დაფიქრება, იმი-
სათვის, რომ არ მიიღო ვიდაცის მოწოდებუ-
ლი პირდაპირ, არამედ თავად გადაიხარო.
ერთერთი ნამუშევარი მონა ლიზა სათვალე-
ებით სიმბოლურად ამ ფაქტს ეხმიანება. ეს
ნამუშევრები აქამდე არ მქონდა გამოფენი-
ლი. გამომდინარე იქიდან რომ პროფესიო-
ნალ მხატვრად არ ვთვლიდი თავს, მუშაობის
პროცესში ყოველთვის ვცდილობდი მზა არ-
სებული მასალის, ფურცლის, გაზეთის თუ
პლაკატის გამოყენებას. ეს შემდეგ ჩვევაში
გადამივიდა, მივხვდი რომ ეს იყოს ინფორმა-
ციის გადაზრების საინტერესო მეთოდი. ეს
არის ფორმატი, როდესაც პლი არსებულს და
ახალ ინფორმაციას შენეული ხედვით აჩვენ-
ებ მაყურებელს. ხშირად არსებულ მასალას,
როგორც ფაქტობრივ შრეს ვტოვებდი და და-
მატებით გადავწერდი მასზე ახალ ინფორმა-
ციას. მაგალითად, ლენინის ტილოები რომ-
ლებზეც წითელი ფერით მაქვს გადაწერილი,
ჩანს ლენინი და შემდგომ ახალი შრე - შავ-
თეთრი გამოსახულებები ჩნდება. ამ პრაქტი-
კას დღესაც ვაგრძელებ. მაგალითად, მაქვს
ახალი სერია შექსპირის გადაწერა. ესაა
შექსპირის ადრეული რუსული გამოცემა,
რომელსაც ვშლი და ახალ ნამუშევარს, ახალ
კომპოზიციას ვქმნი. ზოგადად, გამოდის რომ
ეს გადაწერილი და სერიული ნამუშევრები
შემდგომ უფრო კარგად იკითხება. იგივე
პრაქტიკა მაქვს ფოტოგრაფიაშიც, როდესაც
ქუჩის კედლებს ვიღებ, იქ თვითონ არის გა-
დაწერილი ბევრი ინფორმაცია, რომელიც
როგორც აბსტრაქტული ფერწერა ასე მსურს
ადიბეჭდოს ფოტოზე. ხანდახან იკითხება კი-
დეც წარწერები, მაგალითად „Fuck Russia“,
ხანდახან კი იმდენად ინტენსიურია გადაწე-
რა, რომ სიტყვები არ განირჩევა და რჩება
მხოლოდ ლაქა, რომელიც ძალიან ფერწე-
რული შეიძლება იყოს. მთლიანობაში ჩემთ-
ვის ძალიან საინტერესოა ის „ჭიდაობა“ - ჩა-
ნაცვლების, გადაწერის მძაფრი სურვილი,
რაც ქუჩის კედლებზე ჩნდება. ეს ფაქტი მიუ-
თითებს ადამიანის იმ ენერჯიაზე, რომლითაც
მას მუდმივად უჩნდება სურვილი ებრძოლოს
ინფორმაციას.

The background features a dark, moody aesthetic with a series of concentric, slightly blurred circles on the left side, creating a tunnel-like effect. On the right, there is a semi-transparent, blue-tinted globe or sphere with grid lines, partially overlapping the circular patterns. The overall color palette is dominated by dark blues, greys, and a vibrant cyan/blue for the text and globe.

GURAM TSIBAKHA SHVILI

At first when you take a photo, you capture a moment in time, but as time passes, that moment transforms into a piece of art. Consider, for example, Malevich's Black Square, a work that continues to spark intense debate – whether it is good or bad, and whether its significance was assigned by the artist himself or by others. The meaning of the work and the artist's intent are perhaps best conveyed through a photograph of its first exhibition, where the Black Square was displayed in the upper right corner of the wall, positioned exactly like a religious icon. This placement suggests that the artist consciously assigned the work a sense of elevated importance, a relationship that the photograph captures with striking clarity.

In my case, reflecting on the 1990s, various exhibitions were held in Georgia during this period, and exhibitions of works by Georgian artists were also organized abroad. Initially, I documented these events as a participant, capturing the process firsthand. Over time, this material gained historical significance. The photo documentation highlights the types of art emphasized during different periods and the level of interest in Georgian art beyond its borders. Of course, I did not see the full picture; my focus was on the exhibitions in which I personally participated. Nevertheless, the general dynamics are clearly visible in this documentation – for example, how artworks were displayed and the evolving design of exhibitions. Exhibition design, as we know, continuously changes, becoming increasingly modern over time. These photographs also hold relevance for contemporary Georgia, offering valuable insights into the history of Georgian art. They reveal an interesting trend: how individual artists developed from the early to the late 1990s. This makes the documentation not only valuable but also highly pertinent to understanding the artistic landscape of that era today.

There exists a document significant in their own right, yet the event it captures gains even greater importance and value with the passage of time.



**GURAM TSIBAKHASHVILI
ANDRO ERADZE
KOKA RAMISHVILI
BESO UZNADZE
DINA OGANOVA
MARIAM SITCHINAVA
LADO LOMITASHVILI
DARO SULAKAURI
NATELA GRIGALASHVILI**

Georgien ist ein reiches, faszinierendes und komplexes Land. Es ist ein Land, das die Geschichte der Welt in sich trägt. Die Kunst der Georgier ist ein Spiegelbild der Kultur und des Lebens in diesem Land. Die Kunst der Georgier ist ein Spiegelbild der Kultur und des Lebens in diesem Land. Die Kunst der Georgier ist ein Spiegelbild der Kultur und des Lebens in diesem Land.



Personally, I have always operated as a photographer, but beyond capturing moments, I have also worked extensively with archival material in various forms and explored different mediums. This is exemplified by a specific series presented in my solo exhibition, Overwriting. In the 1990s, I frequently created collages, sketches, and objects. During the same period, I developed a series of Soviet ideological movie posters. The resistance these posters evoked in me led to the realization that this history needed to be rewritten. In 1988–89, as the new wave began to emerge, I sought to reinterpret Western values that had previously been inaccessible to us. As a result, new elements of information and values appeared in my work, such as the concept of the double image. For me, the double image symbolizes the relationship between reality and our perception of it. It represents the need for the image itself to provoke thought – not to merely accept a directive but to encourage self - reflection. One such work, Mona Lisa with Glasses, symbolically embodies this idea. I had not exhibited these works before, as I never considered myself a professional artist. My process often involved using ready-made materials – paper, newspapers, or posters – which became a habitual and intriguing method of processing information. This approach allowed me to combine existing and new information with my personal vision to present to the viewer. Often, I would leave the original material visible as a foundational layer and overwrite it with new content. For instance, in my canvases featuring Lenin, I first painted over them in red to leave Lenin's image partially visible, then added black-and-white layers on top. This practice continues to shape my work today. For example, I am currently working on a new series of Shakespeare transcriptions. Using early Russian editions of Shakespeare, I deconstruct the texts, tearing them apart to create new compositions and works. Interestingly, these reworked, serialized pieces often read better after their transformation. The same approach applies to my photography. When capturing street walls, I document the layers of information inscribed on them, often treating these layers like abstract paintings. Sometimes the inscriptions are legible, such as "Fuck Russia," while at other times, the overwritten marks are so dense that the words dissolve into indistinct stains, creating a picturesque effect. I find this "wrestling" – the human impulse to replace, overwrite, and challenge information – deeply compelling. It reflects the energy and determination with which people continuously strive to assert themselves and their narratives.

პროექტი პირიმი



სოფო ვაბაჯანიძე

პირიმიზე ყოველწლიურ
თანამედროვე ხელოვნების მე-8 საერთაშორისო გამოფენა
„არტისტერიუმზე“
ქარვასლა, თბილისი, საქართველო

Pirimze at the
8th Annual International Contemporary Art Exhibition
"ARTISTERIUM"
Karvasla, Tbilisi, Georgia

სოფო ტაბატაძის პროექტი „პირიმზე“ იკვლევს სოციალურ და ვიზუალურ ცვლილებებს საბჭოთა ეპოქის ექვსსართულიან შენობაზე, რომელიც სპეციალურად შეკეთებისა და მომსახურების სერვისებისთვის აშენდა. პროექტის თემა უფრო ფართო სურათს ხსნის და ასახავს, თუ რა ხდებოდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

პირიმზეს ამბავს თავად შენობა ყვება: ის აღწერს 70-იან წლებს, როდესაც ეს მდიდრულად შექმნილი ნაგებობა სამაგალითო შენობად ითვლებოდა; 80-იან წლებს, როდესაც ის წარმოუდგენელ შემოსავალს იღებდა; და 90იანებს, როცა შენობა ჩამოიშალა და არაორგანიზებულ და ჩრდილოვან საქმიანობას ემსახურებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ როგორც საბჭოთა კავშირი დაიშალა და

სხვადასხვა ქვეყნებად დაიყო – პირიმზეც „აფეთქდა“, და მის უბანში წარმოიქმნა მცირე სახელოსნოები იმავე სახელწოდებით „პირიმზე“, სადაც თითქოს „ნანგრევები ჩამოცვივდა.“ პროექტი ამ სახელოსნოებს სტუმრობს და აკვირდება ხელოსნების უნარებს, რომლებიც ოდესღაც პირიმზეში მუშაობდნენ. ასევე ვსტუმრობთ ახლად განახლებულ ბიზნეს ცენტრს „პირიმზე პლაზას“, რომელიც პირიმზეს ნაცვლად აშენდა, და ვსვამთ კითხვას ამ ტრანსფორმაციის საჭიროებასა და მოტივებზე.

პროექტი შედგება სამი ნაწილისგან:


ფილმი - <https://pirimze.blogspot.com/p/film.html>

ინსტალაცია

ნიგნი

პროექტის ვებგვერდი:

www.pirimze.blogspot.com



სოფო გაბაშაძე პროექტზე გუშაოვის შესახებ:

აჩიქვა



Installation detail, Pirimze ინსტალაციის დეტალი პირიმზე

“დავინყე სიარული იმ უბანში, სადაც პირიმზე იდგა, არ ვიცოდი, როგორ დამეწყო პროექტი. ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ ბევრი ყოფილი ხელოსანი კვლავ იქ დარჩენილიყო ქირით, პატარ-პატარა სახელოსნოებში, რომლებიც პირიმზეს გარშემო იყო გაბნეული. ერთ-ერთი სახელოსნოში მაგიდა ვიქირავე და ამ ხელოსნებთან შეხვედრა დავინყე. პირველ რიგში, ვთხოვე, პირიმზეს პირველ სართულზე მდებარე სივრცის რუკა დაეხატათ, რათა გახსენებოდათ, ვინ სად იჯდა, ვინ რაზე იყო სპეციალიზებული და რა ეთნიკური წარმომავლობა ჰქონდათ. ამ ხელით დახატული რუკების საფუძველზე შევქმენი ქალაქის რეკონსტრუქცია, რომლის გამოჭრა და აწყობა შესაძლებელია.

კვლევის პროცესში ჩემთვის ცხადი გახდა, რომ პირიმზეს განადგურების პრობლემამ უფრო ფართო სურათი და იმ პროცესში ჩართული სხვადასხვა მოთამაშის სოციალური და პოლიტიკური ინტერესები გამოაჩინა. მჭირდებოდა მეთოდის პოვნა, რათა ამ შენობის ირგვლივ მიმდინარე ბრძოლები და მსგავსი შემთხვევების დროს გამოყენებული მექანიზმები დამეფიქსირებინა. გადავწყვიტე, რომ დოკუმენტური ფილმი საუკეთესო საშუალება იქნებოდა ამ შენობის რთული ამბის გამოსახატად.

ეს პროექტი არ წარმოადგენს ნოსტალგიურ მცდელობას, აღადგინოს წარსულის გარკვეული ასპექტი ან ის შენობა, რომელიც აღარ არსებობს. ის აანალიზებს და გვაჩვენებს, როგორ ხდება მსგავსი ცვლილებები, ვინ იღებს მათგან სარგებელს და როგორ აპრიალეებენ და ყიდიან თავიანთ ისტორიას იმ ხალხზე, ვინც ყველაფერი დაკარგა. ამასთან, ის დოკუმენტს წარმოადგენს დროისა, რომელიც ხელოსნობის გაქრობას ასახავს.”





Pirimze is a cross-media project by Sophia Tabatadze. It researches social and visual changes affecting a six-floor edifice from the Soviet era, built especially to house repair and maintenance services. The theme unfolds a broader picture and shows what has been happening in Georgia since the collapse of the Soviet Union.

The story of Pirimze is told by the building itself; it touches upon the '70s when this luxuriously designed edifice served as an exemplary building, how it made an incredible amount of money in the '80s and talks about the '90s, when it decayed and operated in an improvised and shady way. After the independence of Georgia - just as the Soviet Union collapsed and broke up into different countries - Pirimze "exploded" and smaller workshops with identical name "Pirimze" sprung up in the surrounding neighborhood, where the "debris fell." We visit these workshops and observe fascinating skills performed by craftsmen who used to work in Pirimze. We also visit the newly renovated business center "Pirimze Plaza" which replaced Pirimze and question the need and motives of this transformation.

THIS PROJECT CONSISTS OF THREE PARTS:

FILM - <https://pirimze.blogspot.com/p/film.html>
INSTALLATION
BOOK

PROJECT PIRIMZE

**SOPHIA
TABATADZE**

Project website:
www.pirimze.blogspot.com



Model built for the documentary.

about her research on the project:

I started going to the neighbourhood where Pirmze stood, not knowing how to start this project. To my surprise I discovered that many of the former workers have stayed there, in rented workshops scattered around the former Pirmze. I rented one table in one of the workspaces and started meeting former workers. To begin with, I asked them to draw me a map of the ground floor of Pirmze in order to remember who sat where, who was specialised in what, and what the workers' ethnic backgrounds were. On the base of these hand-drawn maps, I made a paper reconstruction of the ground floor that can be cut out and put together.

During the research, it became clear to me that the problem of destruction of Pirmze was hiding a larger picture and the social and political agendas of different players involved in this process. I had to find a way of showing the fights about the building and registering the changes and mechanisms that are used in identical cases, so I decided that a documentary film would be a good medium to show the complex story of this building.



This project is not a nostalgic try to reconstruct a certain aspect of the past, or the building which is no longer there. Instead it analyses and shows how these kind of changes take place, who benefits from it and how these fortunate ones beautify and sell their story back to people, who lost everything. It is also a time document of something disappearing, which is craftsmanship.



BIBLIOTHÈQUE

ღია ბაზრასტორნი

“ ამ კლდეს დაარქვეს ბიბლიოთეკა ” — ტაქსის მძღოლმა თქვა ”



ამ ნამუშევრის წინაპირობაა წიგნთან დაკავშირებული ჩემი პირადი სევდა, ის თუ რამდენად კარგავს წიგნი აქტუალობას თანამედროვე რეალობაში. ნამუშევრის ფორმა კი იმ მომენტში გადაწყვეტიე, როდესაც თუშეთის გზაზე მიმავალს, მძლოლმა დამანახა კლდე და მითხრა, რომ ამ კლდეს მისი სტრუქტურის გამო ბიბლიოთეკა დაარქვესო. საბედნიეროდ, ჩემი მეგობარი და ფოტოგრაფი დათო ქორიძეც მანქანაში იყო და ჩემი თხოვნით ამ კლდის ფოტოები გადაიღო.

ნამუშევარი გავაკეთე Culture Week Tbilisi-ზე. სათურად მძლოლის რეპლიკა გამოვიყენე: “ამ კლდეს დაარქვეს ბიბლიოთეკა” – ტაქსის მძლოლმა თქვა” (“This Rock Was Named Biblioteque” – Taxi Driver Said”), ხოლო კონცეფციად კი, ამ კლდის დიდი მასშტაბის ფოტო, რომელიც ინსტალაციის თანაბარი მნიშვნელობის ნაწილი გახდა.



A portrait of Lia Bagrationi, a woman with short, dark, curly hair, wearing a dark, ribbed scarf and a dark top. She is looking directly at the camera with a neutral expression. The background is a dark, solid color with a vertical line on the left side.


LIA BAGRATIONI

Photo by Nodar Ladaria



This Rock was named BIBLIOTHÈQUE

Taxi Driver Said



The premise of this work stems from my personal sadness about the diminishing relevance of books in modern society. The form of the work was inspired by an experience I had while driving on the Tusheti road. The driver pointed to a rock formation and told me it was called "the library" because of its structure. Fortunately, my friend and photographer, Dato Koridze, was in the car and, at my request, captured photos of the rock.

I created this piece during Culture Week Tbilisi. The driver's remark became both the title—"This Rock Was Named Bibliothèque" – Taxi Driver Said"—and the concept of the work. A large-scale photograph of the rock was central to the installation, becoming an equally significant element of the piece.

აბრეშუბის სახელმწიფო მუზეუმი:
საარქივო
მასალა და
თანამედროვე
ინტერპრეტაციები

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი

მანიაშ შინგვლაშვილი

photo by Nikoloz Mchedlidze

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი ინახავს მრავალფეროვან ცოდნას მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე კავკასიაში მებარეშუმეობის დარგის განვითარების მიმართულებით. მუზეუმი, რომელიც საზოგადოდ შენახვის, დაარქივების, დოკუმენტირების და კლასიფიცირების ადგილია, თავდაპირველ ხანებშიც ზედმიწევნით ამ პრინციპს მისდევდა. აბრეშუმის მუზეუმის ბიბლიოთეკა ის უმნიშვნელოვანესი საცავია, სადაც პირველ თანამშრომელთა და მეცნიერთა შრომები, წლიური ანგარიშები ინახება – აღწერილია მებარეშუმეობის როგორც დარგის განვითარების სისტემატიზაცია, მეცნიერული ექსპერიმენტები, ეპოქალური საჭიროებები, კავშირები. დროითი დისტანციიდან თითოეული ასეთი დოკუმენტი, თუ კავკასიის მასშტაბით წარმოებული ექსპედიციებიდან მოპოვებული სხვადასხვა არტეფაქტი ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა, რამდენადაც პროცესებს თანმიმდევრულად ასახავს და ამავდროულად გვიყვება ამბავს წარსულიდან. აბრეშუმის მუზეუმი წარსულის დროით სარტყელშია არამხოლოდ წიგნადი ფონდით, არამედ თავისი კოლექციებით, ინტერიერთა და კოლექციებისათვის განსაზღვრული ხის კაბინეტებით. განსაზღვრება “Kunstkamera”, რაც ამ პერიოდის მუზეუმების მახასიათებელია, აბრეშუმის მუზეუმსაც გამოყოფს მსოფლიო მუზეუმებს შორის. სულ ახალხანს, 2024 წლის შემოდგომაზე დასრულდა მუზეუმის ოთხნობიანი სრული რეაბილიტაცია. ისტორიული ავთენტურობის შენარჩუნება ის მთავარი გამოწვევა იყო, რაც ობიექტური შეფასებით წარმატებით დაიძლია არქიტექტორის, ნინო ჩაჩხიანის, მუზეუმის დირექტორის, ნინო კუპრაგას, და მუზეუმის თანამშრომელთა მცირერიცხოვანი გუნდის თავდაუზოგავი შრომის შედეგად.



აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის ფოტოარქივი




აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის ფოტოარქივი

ისტორიული ავთენტურობა, მდიდარი საარქივო მასალა არამხოლოდ წარსულთან უწყვეტ კავშირს, არამედ წარსულის გადააზრების შესაძლებლობას ქმნის. უშუალოდ მებარეუმეობის დარგი შეისწავლის მრავალმხრივად აბრეშუმის წარმოების პროცესებს, ქვეყნებს შორის კულტურულ კავშირებს, სოციო-პოლიტიკურ იდეოლოგიურ გავლენათა ქსელსაც. რა მიმართულებით განაახლებს და გადააზრებს ინსტიტუცია ამ მდიდარ საარქივო მასალას? ბლოგში რამდენიმე პროექტსა და ინიციატივას შევხებით, სადაც სხვადასხვაგვარადაა არქივის მასალები ინტერპრეტირებული.

უმთავრესი საკითხია არქივის ხელმისაწვდომობა - ღიაობა და საზოგადოებასთან მედიაცია მთავარი ფასეული მომენტია, რასაც თანამედროვე მუზეუმები ქმნიან. ამ გაგებით არქივი საჯარო ფასეულობაა, რომელზე წვდომაც ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფს უნდა შეეძლოს. ამ მიმართულებით გამორჩეული თანამშრომლობა შედგა ხელოვან ოლაფ ნიკოლაის, კურატორ ნინა ახვლედიანსა და აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის გუნდს შორის 2020 წელს. ოლაფ ნიკოლაისა და ნინა ახვლედიანის მხარდაჭერითა და ბაქოს გოეთეს ინსტიტუტის ხელშეწყობით გაციფრულდა მუზეუმის მინის ნეგატივების უმდიდრესი მასალა. ამ პროექტით დაინიცირდა მუზეუმთან თანამშრომლობითი პლატფორმა - სერი (ა)-ს გამოცემა. სერი (ა) და მისი პირველი გამოცემა თავად იქცა უკვე დოკუმენტად, რამდენადაც გამოცემაში იტალიელი ფოტოგრაფის ჯოვანა სილვას მიერ აღიბეჭდა რეაბილიტაციამდელი მუზეუმის სივრცეები, რომლებიც ამ ფორმით აღარ არსებობს. ნეგატივების გაციფრულების პროცესის გარდა მუზეუმმა ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ხელშეწყობით და კოლექციების კურატორ სალომე ფაჩუაშვილის ხელმძღვანელობით ფოტოკოლექციების უდიდესი ნაწილი გააციფრულა.

ამგვარი ხელმისაწვდომობა თავისთავად უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა ცოდნის ახალი ფორმების განსავითარებლად. ერთერთი ასეთი საგულისხმო პრეცედენტია მუზეუმის რეზიდენციაში მონაწილე ამერიკელი კურატორის ალაინა კლერ ფელდმანის კვლევა რომელიც მინის მიკროსკოპული ნეგატივებზე ფოკუსირდა. რეზიდენციის შემდგომ ამ კვლევაში ალაინასთან თანამშრომლობამ ახალ გამოფენას დაუდო სათავე, რომელიც 2024 წლის გაზაფხულზე ნიუ-იორკში გაიხსნა, ხოლო 2024 წლის



აბრეშუმხვევის ბიოლოგია, მინის ნეგატივების ფოტოკოლექცია, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი





„აბრეშუმის პარკის ოთახი“ — ინსტალაციის ხედი
ქეროლენ პეტერსონი
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი

შემოდგომაზე თბილისში. თანამშრომლობითი გამოფენა “ძალაუფლების ტაქსონომიები: ფოტო ამბები აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმიდან” და ამავე სახელწოდების პუბლიკაცია კურატორების ფელდამნისა და შერგელაშვილის რედაქტორობით გამოიცა. გამოფენაც და თანმხლები პუბლიკაციაც ჭიის ბიოლოგიის ამსახველ სამეცნიერო მიკროსკოპულ მასალას აანალიზებს ეპოქალურ, კრიტიკულ და ანალიტიკურ კონტექსტში. გამოფენა სწორედ ახლო ხედით წარადგენს ჭიის ბიოლოგიის ამსახველ ფოტოებს და დამთვალეირებულს მეცნიერების, ხელოვნების, ადამიანის მგერის და მისი დომინაციის საკითხებზე აფიქრებს, კერძოდ ძალაუფლების იმ იერარქიაზე რომელიც მე-20 საუკუნის ადრეულ პერიოდში მჟღავნდება.

კვლევა და კრიტიკული ანალიზი სხვადასხვა ფორმებით განივრცობა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის ინიციატივებსა და პროექტებში. საარქივო მასალების გაანალიზების საგულისხმო პრაქტიკაა ის შემოქმედებითი ხედვა, რომელსაც ხელოვანები წლების მანძილზე ავითარებდნენ მუზეუმების კოლექციებისა თუ ექსპონატების ცალკეული ნიმუშების ინტერპრეტაციით. ასეთი სანიმუშო პროექტია ქეროლენ პეტერსონის, ამერიკელი ხელოვანის რეზიდენცია, რომელიც კურატორ დათა ჭილოლაშვილთან თანამშრომლობით განხორციელდა. ქეროლენმა მუზეუმის საარქივო მასალა, ბეჭდვის ექსპერიმენტული ტექნიკებით განავითარა და თავისი ინსტალაციის განუყოფელ ნაწილად აქცია. ნამუშევარი სამედიტაციო სივრცეც იყო მოსული დამთვალეირებლისათვის. ნამუშევრის შესახებ დეტალურად მუზეუ-

დეტალები აბრეშუმის პარკებისა და ძაფების კოლექციებიდან





ინსტალაციის ხედები, თამუნა ჭაბაშვილი, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი

მის ბლოგზე იხილავთ დათა ჭილოლაშვილის სტატიას.

მუზეუმის განახლებულ სივრცეში, მთავარი საგამოფენო დარბაზის ცენტრალურ ვიტრინაში დროებით წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვანის, თამუნა ჭაბაშვილის ნამუშევარი. თამუნა ის ხელოვანია, რომელიც მუზეუმთან სხავდასხვა პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს და ზოგადად საარქივო მასალას თავის შემოქმედებით პრაქტიკაში კონცეპტუალურად იყენებს. ევროფალიის საერთაშორისო ფესტივალზე, ის იყო მიწვეული ხელოვანი ლიეჟში ლე დრაპეს საგალერეო სივრცეში, სადაც მუზეუმმა თავის კოლექციებთან ერთად ჭაბაშვილის ინსტალაცია წარადგინა. აღნიშნული ნამუშევარი მოდიფიცირებული ფორმით ნაჩვენებია იქნა თბილისში მუზეუმის რეაბილიტაციის შემდგომ გახსნის ღონისძიებისთვის. ნამუშევარი გადაიზარებს აბრეშუმის მუზეუმის საბჭოთა ტექსტილის კოლექციას, რამდენადაც ტექსტილის ხელშესახები ვიზუალური შრეების კვლევა, მისი ფაქტურულობა ჭაბაშვილის ანალიზის საგანი გახდა. როგორც მის სახელოვნებო განაცხადში ვკითხულობთ:





ჩემი მიზანი არ არის ყოფილი საბჭოთა პერიოდის შესახებ თხრობა, არამედ იმ პერიოდის ქსოვილის ნიმუშებსა და ჩემს ნამუშევრებს შორის დიალოგი. ქსოვილის ნიმუშები მეხმარება, შევქმნა რეფლექსიის სივრცე, საქართველოში ამჟამინდელი პოლიტიკური მდგომარეობის მეიფე და არასტაბილური ხასიათის და ჩემი პირადი დაუცველობის შეგრძნების გადმოსცემად.

თაბუნა ჭაბააშვილი

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც საარქივო მასალის შემოქმედებითი ინტერპრეტაციის საგულისხმო მაგალითია უკავშირდება აბრეშუმის მუზეუმის ბიბლიოთეკას, რომელიც მუზეუმსა და ამერიკელ კურატორ ლიდია მეთიუსთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა. “ტექსტები, როგორც კულტურული საგანძური” მულტიდისციპლინური პროექტია, სადაც ამერიკელმა და ქართველმა ხელოვანებმა თავიანთი კვლევები მულტიმედიურ კონტექსტში ციფრული ფორმატით წარადგინეს. განსხვავებული მედიების საშუალებით – საარქივო მასალებით, აუდიო-ვიდეო ნამუშევრებით, ანიმაციითა და პოეზიით – მონაწილე ხელოვანები ხელახლა განმარტავენ მუზეუმის მდიდარ კოლექციას, აერთიანებენ ნარატივებს, რომლებიც აკავშირებს წარსულსა და აწმყოს, ტრადიციასა და ინოვაციას. პროექტების შესახებ ცალკეული ინფორმაცია მუზეუმის ბლოგზეა ხელმისაწვდომი.

ზოგად ჭრილში აღსანიშნავია, რამდენად ფართო რეფლექსიის, უშრეტი ინტერპრეტაციის წყარო შეიძლება გახდეს ისტორიულად ერთი შეხედვით დროსა და სივრცეში გაყინული ინფორმაცია თუ მასალა. ინფორმაციული სიჭარბე, რაც 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური მიღწევაცაა და კრიტიკული გამოწვევაც, კიდევ ერთხელ ადასტურებს ინფორმაციული ობიექტურობის მნიშვნელობას, ახალი ცოდნის წარმოების, მასზე რეფლექსირების და შემოქმედებითი ინტერპრეტირების აუცილებლობას. აბრეშუმის მუზეუმი ის ინსტიტუციაა, რომელიც თავის სივრცეში ამ ფორმატით თანამშრომლობის ახალ საზღვრებს ხსნის.

მუზეუმის ბლოგის ბმული:

www.silkmuseumblog.ge

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის წიგნადი ფონდი, მუზეუმის ბიბლიოთეკა





Archival Material & Contemporary Interpretations

The State Silk Museum

Mariam SHERGELASHVILI



The State Silk Museum preserves a wealth of knowledge on the development of the silk industry in the Transcaucasus at the turn of the 19th and 20th centuries. As a public institution dedicated to storage, archiving, documentation, and classification, the museum has upheld these principles since its establishment. Its library is one of its most significant repositories, housing works by the museum's early employees and scientists, as well as annual reports. These documents systematize the development of sericulture, scientific experiments, and the needs and connections of the era. Each document, along with various artifacts collected during expeditions across the Caucasus, holds immense value. They not only reflect historical processes but also narrate stories from the past. The Silk Museum connects with history not only through its library but also through its collections, interiors, and original wooden cabinets designed to house its artifacts. The designation "Kunstkamera," characteristic of museums from this period, further distinguishes the Silk Museum among institutions worldwide. Recently, in the fall of 2024, the museum completed a comprehensive four-year rehabilitation project. The preservation of historical authenticity was the primary challenge, a task successfully achieved thanks to the dedicated efforts of architect Nino Chachkhiani, museum director Nino Kuprava, and the small but committed team of museum employees.

Historical authenticity and rich archival materials not only provide a continuous connection to the past but also offer opportunities to reinterpret it. The field of sericulture allows for an in-depth study of silk production processes, cultural ties between nations, and the network of socio-political and ideological influences. How will the institution update and

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის მინის ნეგატივების ფოტოკოლექციიდან



reexamine this rich archival material? In the blog, we will explore several projects and initiatives that reinterpret archival materials in various ways.

One key issue is the accessibility of the archive. Openness and engagement with the public are among the most valuable contributions modern museums can make. In this context, the archive becomes a public asset that should be accessible to diverse groups. In this direction, an exceptional collaboration took place in 2020 between artist Olaf Nicolai, curator Nina Akhvlediani, and the team of the State Silk Museum. With the support of Olaf Nicolai, Nina Akhvlediani, and the Baku Goethe Institute, the museum's extensive collection of glass



negatives was digitized. This project also led to the launch of a collaborative platform with the museum called Seri (A). The first edition of Seri (A) has already become an archival document itself, as Italian photographer Giovanna Silva captured the pre-rehabilitation museum spaces, which no longer exist in their original form. Alongside the digitization of glass negatives, the museum, with support from the British Library and under the leadership of collections curator Salome Pachuashvili, digitized the majority of its photo collections.

Access to archival materials offers significant opportunities for developing new forms of knowledge. A notable example is the research conducted by American curator-in-residence Alaina Claire Feldman, who focused on microscopic glass negatives. This collaboration led to the exhibition "Taxonomies of Power: Photographic Encounters at the State Silk Museum," which opened in New York in the spring of 2024 and in Tbilisi in the fall of 2024. The accompanying publication, edited by curators Feldman and Shergelashvili, examines scientific microscopic material on silkworm biology within a contemporary, critical, and analytical context. The exhibition features close-up photographs of silkworms, prompting viewers to reflect on the intersections of science, art, human perception, and dominance, particularly the power hierarchies evident in the early 20th century.



"ძალაუფლების ტაქსონომიები: ფოტოამბები აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმიდან",
ექსპოზიციის ხედი, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი
ფოტო: გიორგი ინდუამვილი



My goal is not to recount the former Soviet period but to create a dialogue between the fabric samples of that era and my works. Fabric patterns help me construct a reflective space, conveying the fragile and unstable nature of Georgia's current political situation and my own feelings of personal insecurity.

Tamuna Chabashvili

Another initiative showcasing the creative interpretation of archival material is the Silk Museum Library project, realized in collaboration with American curator Lydia Matthews. Titled "Texts as Cultural Treasures," this multidisciplinary project brings together American and Georgian artists to present their research in digital and multimedia formats. Using a variety of media—including archival materials, audio-visual works, animation, and poetry—participating artists reinterpret the museum's rich collection, weaving narratives that bridge the past and present, tradition and innovation. Detailed information about individual projects is available on the museum's blog.

More broadly, it is worth emphasizing how static material, seemingly frozen in time and space, can become a powerful source for reflection and interpretation. The phenomenon of information overload—both a hallmark of technological progress and a critical challenge of the 21st century—underscores the importance of informational objectivity, the creation of new knowledge, and its reflection and creative reinterpretation. The Silk Museum serves as a pioneering institution, expanding the boundaries of collaboration and innovation within its space.

Blog link:

www.silkmuseumblog.ge

Research and critical analysis are integral to the initiatives and projects of the State Silk Museum. A significant practice involves the creative vision of artists who reinterpret archival materials through individual samples of the museum's collections or exhibits. One exemplary project is the residency of American artist Caroline Peterson, realized in collaboration with curator Data Chigholashvili. Caroline utilized archival materials from the museum, incorporating experimental printmaking techniques to create an installation that became both an artwork and a meditative space for visitors. Detailed information about this project can be found in Data Chigholashvili's article on the museum's blog.

In the renovated museum space, the central showcase of the main exhibition hall temporarily features a work by contemporary artist Tamuna Chabashvili. A frequent collaborator with the museum, Chabashvili conceptually integrates archival materials into her creative practice. At the Europhalia International Festival, she was an invited artist at the Le Drape gallery in Liège, where the museum showcased her installation alongside its collections. This work was later adapted for the museum's reopening event in Tbilisi after its rehabilitation. Chabashvili's installation reinterprets the Soviet-era textile collection of the Silk Museum. Her research into the visual and tangible layers of the textiles, particularly their textures, became a central theme of her analysis. In her artistic statement, Chabashvili writes:



კოლექციონერი მკვლევარი

ხელოვნებათმცოდნე
მკვლევარი
კოლექციონერი



კონსტანტინე
ბოლქვაძე

კოლექციების შეგროვება და არქივირება მჭიდროდაა დაკავშირებული ჩემს საგამოფენო, საკურატორო, კვლევით და საკოლექციო ხედვებთან. გარკვეულწილად ამ ფორმით ყოველთვის ვცდილობ ჩემი იდენტობა გამოვხატო - ეს იდენტობის გამოხატვის ინტენციონალური აქტია. ჩემი კოლექცია სხვადასხვა რარიტეტულ ნამუშევრებს აერთიანებს, როგორცაა სერგო ფარაჯანოვის კინოარქივის მასალა, ქართველ კინომსახიობთა ე.წ. “სელებრიტების” ფოტოები ოთარ იოსელიანის ფილმებიდან, ესმა ონიანის ესკიზები, ქართული ანიმაციის ჩანახატები.

ჩემთვის არქივირების პრინციპი და კოლექციის შედგენა ინტუიციური ძიების პროცესია, რომელიც უკავშირდება ჩემი კვლევის ინტერესებს. ძირითადად მაინტერესებს არამეინსტრუმული სახელების აღმოჩენა. უცნობი ქალი მხატვრები და ანდერგრუნდ ხელოვნება საბჭოთა კავშირში ჩემი საყვარელი თემებია.

ჩემთვის არქივირების მიზანი ჩემი გემოვნებით ქართული სახვითი ხელოვნების “გაუნათებელი” პერიოდების დაფიქსირებაა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის ე.წ. ოქროს ხანის, 70-იან წლების. ამ პერიოდში იკვეთება ქართულ ხელოვნებაში ემანსიპაციის ე.წ. ფემინისტური ტალღა და ნონკონფორმისტული დისიდენტური ხელოვნება, რომელიც ჩემს არქივშიც დაცულია. ასევე მაინტერესებს ის ოსტატები, ვინც ფილიგრანულად ტექნეზე დაფუძნებით ავითარებს ამ პერიოდში თავის ხელწერას.

მაქვს სისტემატიზაციის ჩემი მეთოდი, რომელიც სრულად თანხვედრაშია ჩემს სახელოვნებათმცოდნეო კვლევებთან და არტისტულ მიგნებებთან. არქივირების პროცესში ჩემეული კულტურის პოლიტიკა გამაჩნია – თუ რას რატომ ვყიდულობ და რა პრინციპით ვაგროვებ. ჩემი ინტერესია კოლექციაში გავაერთიანო ფასეული ნამუშევრები, რათა ეს ნიმუშები არ გაედინოს ქვეყნიდან, არამედ ერთი პირადი კოლექციის მიღმა, საზოგადო მნიშვნელობა შეიძინოს. მაქვს მიზანი რომ ეს კოლექცია შემდეგ გადაეცეს შესაბამის ინსტიტუციებს, რათა ფართო საზოგადოებამ ნახოს. მიმაჩნია, რომ ყველა დროის დიდი ხელოვნება საბოლოოდ არის ხალხის კუთვნილება.



KOTE BOLKVADZE

Art critic
 Researcher
 Collector

Collecting and archiving are deeply connected to my exhibition, curatorial, research, and collecting visions. In many ways, I see this as an intentional act of expressing identity. Through these practices, I try to convey my identity in a meaningful way. My collection includes various rare works, such as materials from Sergo Parajanov's film archive, photographs of Georgian film actors portrayed as "celebrities" in Otar Ioseliani's films, sketches by Esmā Oniani, and sketches from Georgian animation.

For me, the process of archiving and compiling a collection is an intuitive search closely tied to my research interests. I am particularly drawn to uncovering non-mainstream figures, with a strong focus on unknown female artists and underground art in the Soviet Union — my favorite subjects.

For me, the goal of archiving is to document the "unenlightened" periods of Georgian fine art, particularly the so-called Golden Age of the Soviet era in the 1970s. This period in Georgian art saw the emergence of a feminist wave of emancipation and non-conformist dissident art, both of which are preserved in my archive. I am also drawn to masters who, through their mastery of filigree techniques, developed distinctive artistic signatures during this time.

I have developed my own method of systematization, which aligns closely with my art-historical research and artistic discoveries. In the archiving process, I follow a personal cultural policy — defining what I purchase, why, and the principles by which I collect. My primary interest lies in uniting valuable works into a collection to ensure they remain within the country and gain public significance beyond being part of a personal collection. My ultimate goal is to transfer this collection to appropriate institutions so it can be accessible to the wider public. I firmly believe that the great art of all eras ultimately belongs to the people.

PROJECT IN FOCUS



Search

Artist / Action Period Year

Home
Overview
Video Interviews
Process
Private Archives

Archive of Academic Writings

2021 Edition of the Project is supported by the Ministry of Culture, Sport and Youth of Georgia



Sakrebulo Sulaberidze



Sakrebulo Dumbadze



Sakrebulo Ananiani



Sakrebulo Natsvli



Sakrebulo Gogolashvili



Sakrebulo Kiknadze



Sakrebulo Gogolashvili



Sakrebulo Gogolashvili

www.propaganda.network



Propaganda Contemporary Art Archive - Tbilisi offers the opportunity to explore the work of Georgian artists from the 1970s to the present day.

The archive's sections include:

- **"Overview"** – Descriptions of the artistic context of specific decades
- **"Video Interviews"** – Documentary segments about artists
- **"Process"** – A multimedia chronology of key processes in contemporary art (in progress)
- **"Personal Archives"** – Materials provided by cultural professionals, representing their personal collections

Please note that the Contemporary Art Archive is a constantly updated, non-commercial online platform. The Propaganda team gathers information that is otherwise scattered and disorganized. Therefore, we encourage art professionals to collaborate so that the archive's content fully reflects Georgian contemporary art.

პროპაგანდას თანამედროვე ხელოვნების არქივი – თბილისი საშუალებას გაძლევთ გაეცნოთ ქართველი ხელოვნების შემოქმედებას 1970-იანი წლებიდან დღემდე.

არქივის ველები:

"მიმოხილვა" - კონკრეტული დეკადის სახელოვნებო კონტექსტის აღწერა

"ვიდეოინტერვიუები" - დოკუმენტური სიუჟეტები მხატვრებზე

"პროცესი" - თანამედროვე ხელოვნების საკვანძო პროცესების მულტიმედია ქრონოლოგია (სამუშაო პროცესში)

"პირადი არქივები" - კულტურის პროფესიონალების მიერ მოწოდებული მასალები, რომლებიც მათ საკუთრებას წარმოადგენს

გაცნობებთ, რომ თანამედროვე ხელოვნების არქივი მუდმივად განახლებადი და არაკომერციული ონლაინ პლატფორმაა. პროპაგანდას გუნდი თავს უყრის იმ ინფორმაციას, რომელიც უსისტემოდაა გაბნეული. შესაბამისად, ხელოვნების პროფესიონალებს მოგიწოდებთ თანამშრომლობისკენ, რომ არქივზე წარმოდგენილი ინფორმაცია მაქსიმალურად ასახავდეს ქართულ თანამედროვე ხელოვნებას.

გაზეთი

სამასსამოცდახუთი

გაზეთი „სამასსამოცდახუთი“ პირველად 2021 წელს დაიბეჭდა და მას შემდეგ ყოველწლიურად ქმნის პლატფორმას აზრებისა და გამოცდილებების გაცვლისთვის, სადაც ხელოვანები ღიად საუბრობენ საკუთარ გამოცდილებაზე, გასული წლის შთაგონების, ფიქრის, განვითარების დრამატურგიაზე, სულიერ თუ ფილოსოფიურ ძიებებზე, ტექნიკურ პროცესებსა და გავლენებზე. ტექსტები იმდენად ეხება საჯარო მოვლენებს, რამდენადაც პირადი განცდით არის დანახული. და პირიქით, იმდენად ეხება საკუთარს, რამდენადაც საჯაროდ გასაზიარებელია.

გაზეთის იდეა პანდემიის პერიოდში გაჩნდა, პირადი სახელოვნებო პროცესების გაზიარების გარდაუვალი აუცილებლობიდან გამომდინარე. ოთხი წლის განმავლობაში კი გაზეთი თანდათანობით ახალი შინაარსებით დაიტვირთა. დღეს გაზეთი სახელოვნებო პროცესების გაზიარების პლატფორმის გარდა, ერთგვარ არქივადც იქცა, რომელიც ხელოვანების თვალთ დანახულ სახელოვნებო, საზოგადოებრივ, სოციალურ, კულტურულ პროცესებს კრებს და საზოგადოებას უზიარებს.



სამასსამოცდახუთი“ არა მხოლოდ აზიარებს სახელოვნებო პროცესებს, არამედ ერთგვარ დოკუმენტაციას ქმნის იმ პროცესების, რომელიც ხელოვნების ნამუშევრის, ფორმალური და არაფორმალური საუბრების მიღმა ხშირად რჩება.

გაზეთ სამასსამოცდახუთის ოთხი წლის არქივი მოიცავს 130 ხელოვანის 230 ტექსტს, რომლებიც სპეციალურად გაზეთის-თვის შეიქმნა.

პლატფორმა ხელს უწყობს დიაობასა და იდეების გაზიარებას ხელოვანებს შორის, რაც ქმნის კოლაბორაციულ არქივს. გაზეთის სახით ამ არქივის შექმნა და გაზიარება საერთო ძალისხმევაა სარედაქციო ჯგუფის, ხელოვანების, რომლებიც ყოველ წელს მეტი გულახდილობით ქმნიან ტექსტებს, და ჩვენი მკითხველის, რომელიც ყოველთვის მზადაა ამ პროცესების თანადგომისთვის.

“გაზეთის შექმნის და დაბეჭდვის იდეა პანდემიის პერიოდში გაჩნდა, ალბათ ამ დროს ხელოვანებს ყველაზე მეტად გვჭირდებოდა საკუთარის დანახვა და ერთმანეთისთვის გაზიარება.” – გაზეთის ავტორები ხელოვანები და კურატორები არიან.

“ბევრი გამოწვევის მიუხედავად მთავარ მხარდამჭრად ყოველთვის ვხედავდით ჩვენს მკითხველს, რომელიც არამხოლოდ დაინტერესებით გვაძლიერებდა, არამედ არაერთხელ ყოფილა გაზეთის უმაღლო დამფინანსებელიც. ეს ფაქტი მეტად გვაჩვენებს გაზეთის საზოგადოებისთვის მნიშვნელობას, რომ მისი ბეჭდური პუბლიკაცია მნიშვნელოვანია ისტორიის შესანახად.”

გაზეთი საშუალებას აძლევს მკვლევრებს, ისტორიკოსებსა და ხელოვნების მოყვარულებს მთელი წლის ჟრილში დაგროვილი და ხელოვნების მიერ საკუთარი ცხოვრებებითა და მიდგომებით შერჩეული



მოვლენები ერთიანობაში დაინახოს. დაინახოს მიმდინარე ტენდენციები და ახალი ხედვები, რომლებიც ნამუშევრებისა და საზოგადოების ფორმირებაში გადაითარგმნება.


წლევანდელი გამოცემა განსაკუთრებული იყო, რადგან სარედაქციო ჯგუფმა ტექსტებთან ერთად დამატებით შემოიტანა თამაშის შრეც, რომელიც სახელოვნებო იარაღებით პასუხობდა გასული წლის სოციალურ-პოლიტიკურ აქცენტებს.

“უკვე მეორედ ყდის დიზაინზე ვითანამშრომლეთ სახელოვნებო ორგანიზაციასთან და წელს გრაფიკის ცენტრთან კოლაბორაციით შეიქმნა 100 ცალი ხელით ნაბეჭდი კომიქსის სტილის კოლაჟი 2023 წლის ვიზუალური ადწერით.”

გაზეთის მომავალს აწმყო გვიჩვენებს. გთავაზობთ ამონარიდს 2024 წლის გამოცემის სარედაქციო მანიფესტიდან:

ყოველი წელი ამტკიცებს კოსმოსურ გაფართოებას, შესაძლებლობების უსასრულოებას – ყველაფერი ყოველთვის იცვლება, ყველაფერი ყველაზე მოქმედებს. ხელოვნება კი, რომელიც ინტუიციასა და შეცდომას ყველაზე თამამად უშვებს საკუთარ პრაქტიკაში, ალბათ, პირველი გრძნობს ცვლილებების ქარის მიმართულებას და ზოგჯერ არაცნობიერადაც კი აფრთხილებს საზოგადოებას ამის შესახებ. თავისუფალი სიტყვა ქექს და ქუხს, და ზანზარებს მიწა მომავალი წვიმის მოლოდინში. ჩამორეცხავს, წალეკავს წლების განმავლობაში ნაგვით გავსებულ ხეებს და დელეებს. საბოლოოდ – ქარი დაღეწავს კერპს!

გაზეთის წავითხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეგიძლიათ. ყიდვის სურვილის შემთხვევაში კი გვიპოვეთ ფეისბუქსა და ინსტაგრამზე.



NEWS PAPER 365

The newspaper "Samassamotsdakhuti" (365) was first published in 2021 and has since established itself as a platform for exchanging thoughts and experiences. Each year, it provides a space where artists openly share their personal journeys, including their inspirations, reflections, the creative processes of the past year, philosophical or spiritual explorations, and technical influences. The texts capture public events through the lens of personal experience while simultaneously reflecting personal narratives intended for public sharing.

The idea for 365 emerged during the pandemic, driven by the pressing need to share individual artistic processes. Over the past four years, the newspaper has continually expanded its content. Today, beyond being a platform for sharing artistic journeys, it has evolved into a unique archive that documents and shares artistic, public, social, and cultural processes as interpreted by artists.

We believe that 365 not only facilitates the sharing of artistic practices but also serves as a

form of documentation. It captures elements of the creative process that often remain outside the final artwork, including both formal and informal conversations.

The platform fosters openness and the exchange of ideas among artists, resulting in a collaborative archive. The creation and dissemination of this archive in the form of a newspaper is a collective effort—of the editorial team, the artists who contribute increasingly honest texts each year, and the readers, who actively engage with and participate in these processes.



“

The idea of creating and printing a newspaper was born during the pandemic — perhaps at that time, we as artists most needed to see ourselves and share our experiences with one another

- artists and curators stand behind the publication.

“

“Despite many challenges, we have always viewed our readers as our greatest supporters. Their interest has not only strengthened us but, on many occasions, made them the newspaper's steadfast funders. This demonstrates the newspaper's importance to society, and its printed form plays a vital role in preserving history.”

Over the course of four issues, the newspaper has grown with new content, evolving into an archive that documents the socio-economic and cultural trends occurring in Georgia and abroad. These developments are captured through the perspectives of artists working in Georgia. The newspaper's four-year archive now comprises 230 texts by 130 artists, all written specifically for its pages.

The publication offers researchers, historians, and art enthusiasts a unique lens to view the events of each year, as selected and interpreted by artists through their personal lives and approaches. It provides insight into current trends and emerging visions, which often influence artistic creations and contribute to societal development.

This year's edition was particularly special, as the editorial team introduced an element of play, using artistic tools to reflect on the socio-political highlights of the past year. "This is the second time we have collaborated with an arts organization for the cover design. This year, in partnership with the Graphics Center, we created a comic-style collage that visually encapsulates the year 2023," the team shared.

The future of the newspaper is reflected in the present. Below is an excerpt from the editorial manifesto of the 2024 edition:



“

Each year proves the cosmic expansion, the infinity of possibilities—everything is always changing, everything affects everyone. And art, which most boldly allows intuition and error in its practice, is perhaps the first to sense the wind of change and, at times, even unconsciously warns society of its direction. Free speech thunders and roars, and the earth trembles in anticipation of the coming rain. It washes away, clearing out ravines and gullies clogged with years of debris. In the end, the wind will tear the idol apart!”

The newspaper is available in University and the National Libraries. To purchase a copy, find us on Facebook or Instagram.

მეხსიერება

აპრილი
2011

ეს დანართის პირველი ნომერია. გამოიცა 2011 წელს პროექტი მეხსიერების ფარგლებში, რომელიც მოიცავდა გამოფენასა და სიმპოზიუმს თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში. პროექტი ღია საზოგადოება საქართველოს მიერ იყო მხარდაჭერილი.

ნომერში გაერთიანებულია ავტორები და არტისტები: ლალი პერტენავა, მაია მანია, ნანა სუმბაძე, გიო სუმბაძე, თამარ ბუზიაშვილი, გიორგი მამაცაშვილი და ვასილ ტაბატაძე, დავით გოგიშვილი, ზურა ჭიშკარიანი და მანანა ხიდაშელი.


პირველი გამოცემა მხოლოდ ქართულ ენაზეა და მხოლოდ ბეჭდური სახით არსებობს.

მეხსიერება მრავალფეროვანი გამოცდილებაა. ის დალექილია ადამიანის ფსიქოლოგიაში, ვლინდება ფიზიკაში, ჩანს კულტურაში. თანამედროვე ხელოვნების ცენტრში-თბილისი, 16 აპრილს გამართული გამოფენა "ჩაუნერეღი დროის მონაკვეთი" - მეხსიერებას მიეძღვნა, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ გამოფენას დართული ჩვენნი გაზეთის პირველი ნომერიც ამავე თემას სხვადასხვა კუთხით იკვლევს.

დანართის თითოეული

ნომერი ყოველთვის ერთ კონკრეტულ თემას ეხება.

დანართის ვებგვერდი:



Memory is a multifaceted experience. It is embedded in human psychology, manifests in the physical realm, and is reflected in culture. The exhibition "AN UNWRITTEN MOMENT IN TIME," held at the Contemporary Art Centre - Tbilisi on April 16, was dedicated to memory, which also inspired the first issue of our newspaper Danarti to explore this theme from various perspectives.

Each issue of Danarti is always focused on a single specific theme.


Website:

danarti.org



sovlab.ge

archive.ge



საზოგადოებრივი დოკუმენტური არქივი

THE PUBLIC ARCHIVE

საზოგადოებრივი არქივი გულისხმობს ელექტრონულ არქივს - დეტალურ, მოქნილ და ინტერაქტიურ მექანიზმს - ღია სივრცეს ნებისმიერი დაინტერესებული პიროვნების თუ ორგანიზაციისათვის. მათთვის, ვინც საკუთარ მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლის შეინარჩუნოს და გაუზიაროს საზოგადოებას, როგორც პირად არქივებსა და საოჯახო ალბომებში გაფანტული დოკუმენტური მასალები, ასევე, მოვლენების პერსონალური ხედვა და გამოცდილება ზეპირი ისტორიების საშუალებით.

ამ გზით შეიქმნება ჩვენი უახლესი ისტორიის ამსახველი დოკუმენტური და აუდიო-ვიზუალური ბაზა, რომელიც წარსულის სრულფასოვნად გააზრებასა და დეტალურ შესწავლაში დაგვეხმარება.

თითოეული მოქალაქის აქტივობა - აღადგენს, დააფიქსირებს და შეინარჩუნებს იმ უამრავი ადამიანის კვალს და „ხმებს“, რომლებიც გამიზნულად თუ უნებურად რჩებოდნენ ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიღმა. ყოველი თქვენგანის მონაწილეობა საზოგადოებრივ არქივს მუდმივად განახლებად და თვითმოქმედ ორგანიზმად აქცევს.

არქივი დაფუძნებულია SOVLAB საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მიერ. SOVLAB (სოვლაბი) წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ავითარებს მეხსიერების პოლიტიკას საქართველოში და ებრძვის რუსული დებინფორმაციის მიერ მეხსიერების იარაღად გამოყენებას.

The Public Archive represents a digital archive – a detailed, flexible and interactive mechanism and an open space for any interested individual or organisation. It serves those who consider it their civic duty to preserve and share with the interested public both documentary materials scattered across personal archives and family albums, as well as personal experiences of events, told through oral history.

This is the method that will be used to create a documentary and audio-visual database illustrating our most recent history and helping us to comprehensively understand and thoroughly study the past.

Active participation of each citizen will restore, establish and preserve the trace and “voices” of the numerous people who were left out of the official historiography either intentionally or inadvertently. The participation of each of you will transform the Public Archive into a constantly updated and self-sustained organism.

The archive is founded by SOVLAB, the Soviet Past Research Laboratory. The Soviet Past Research Laboratory (Sovlab) is a leading Georgian think tank dedicated to researching Georgia's Soviet totalitarian past and countering the weaponization of memory by Russian disinformation.



GIVE US A CALL. UNLESS YOUR COUSIN CAN DO IT



CORPORATE & CONSUMER BRANDING
MARKETING & ADVERTISING DESIGN
PUBLICATION DESIGN
PRINT DESIGN
CORPORATE DESIGN
PACKAGING DESIGN
PHOTOSESSION
WEB DESIGN
WEB DEVELOPMENT

STAMBA HOTEL - D Block E-04
14, M.Kostava St., Tbilisi, Georgia
+995 599 502 500
istudiolab.ge



📍 14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
 📞 +995 555 551 171
 @ reachart.visual@gmail.com
 f @ReachArtConsulting
 📷 reachart.visual

COVER: Lia Bagrationi - BIBLIOTHEQUE
 Announcement photo by Da Miane /
 ანონსის ფოტო – და მიანე

Publishing and Concept - Thea Gogvadze (Tea Nili)
Art Historian - Mariam Shergelashvili
Editor - Mariam Shergelashvili
Design - Irina Kacharava - iStudio
Translation and Editing

Photo credits All photos are provided by contributors

ყდაგა: ლია ბარათიონი, BIBLIOTHEQUE

გამომცემელი და კონცეფცია - თეა გოგვაძე (თეა ნილი)
 ხელოვნებათმცოდნე - მარიამ შერგელაშვილი
 რედაქტორი - მარიამ შერგელაშვილი
 დიზაინი - ირინა კაჭარავა - iStudio
 თარგმანი და კორექტურა - ქეთევან უჩანეიშვილი,

ფოტო ყველა ფოტო მონაწილეებია კონტრიბუტორების მიერ

IMPRESSUM

გაგზავნა GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

In cooperation with



📍 14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
 📞 +995 599 502 500
 @ irina.kacharava1@gmail.com
 f @istudiolab
 📷 istudiolab
 www.istudiolab.ge

This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any form by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronic or manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessibility

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ეხება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას, თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.



Digital Publication - www. http://reachartvisual.com/
 ISSN 2667-9728 (Online)
 © Reach art Visual 2021
 I/D 4045922295 - Georgia

ANNOUNCEMENT

ანონსი

The Power of Protest: Art as Resistance

15

პროტესტის ძალა: ხელოვნება როგორც წინააღმდეგობა



ZE GAVLENA

RAV• art review 15.2024